საქართველოში 500 მლნ აშშ დოლარის ინვესტირება იგეგმება

„ძალიან სასიხარულოა, რომ 300 მლნ აშშ დოლარის ოდენობით ახალი ინვესტიცია შემოვა ქვეყანაში და განთავსდება ისეთ სტრატეგიულად მნიშვნელოვან სფეროებში, როგორიცაა: ტურიზმის სექტორი, ენერგეტიკა, უძრავი ქონება. მისასალმებელია, რომ არასახელმწიფო არასაფინანსო ქართულმა კომპანიამ პირველად განათავსა ობლიგაციები ევრო ბონდების სახით და მოიზიდა 300 მლნ აშშ დოლარი,“– ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა „საქართველოს კაპიტალის“ საინვესტიციო გეგმების შესახებ გამართულ პრეზენტაციაზე განაცხადა.

BGEO Group-ის საინვესტიციო ბიზნესის ჰოლდინგური კომპანია „საქართველოს კაპიტალი“ მომდევნო წლების განმავლობაში საქართველოში, ჯამში, 500 მლნ აშშ დოლარის ინვესტიციის განხორციელებას გეგმავს, საიდანაც 300 მლნ აშშ დოლარის ღირებულების ევროობლიგაციები „საქართველოს კაპიტალმა“ ირლანდიის საფონდო ბირჟაზე განათავსა.

პრეზენტაციაზე სიტყვით გამოსვლისას მთავრობის მეთაურმა ყურადღება 2017 წელს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განსაკუთრებულ ზრდაზე გაამახვილა და აღნიშნა, რომ ეკონომიკური განვითარების მოდელი, რომელსაც საქართველოს მთავრობა ახორციელებს წარმატებულია.

„ის ინფორმაცია, რომელიც რამდენიე დღის წინ საჯარო გახდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდის თაობაზე, ინვესტორებისთვის არის ძალიან მნიშვნელოვანი და „საქართველოს კაპიტალის“ ეს წარმატებაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ აბსოლუტურად სწორი გეზია აღებული ჩვენი ბიზნესგარემოს გაუმჯობესების კუთხით. 16,2%-იანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდა, რაც 1.862 მილიარდი აშშ დოლარია, მართლაც, შთამბეჭდავი რიცხვია.

განსაკუთრებით გვახარებს ასევე ის, რომ 130%-ზე მეტით გაიზარდა რეინვესტიცია - დაახლოებით, 712 მლნ აშშ დოლარია რეინვესტირებული, ანუ ბიზნესიდან ჩვენს ქვეყანაში ჩაბრუნებული თანხა. ეს თანხა, როგორც წესი ქვეყნის გარეთ გადიოდა, რომ არ ყოფილიყო ორი რამ, პირველი - მზარდი ეკონომიკა და 4,8%-იანი ეკონომიკური ზრდა და მეორე - მოგების გადასახადის რეფორმა. ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, ერთმანეთთან კავშირშია. ეს გახლავთ უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილება და 2017 წლის პირველი იანვრიდან ეს რეფორმა წარმატებით ხორციელდება. მე დარწმუნებული ვარ, რომ ის თავის შედეგებს მოიტანს 2018 წელსაც და კიდევ დიდი ხნის განმავლობაში,“- აღნიშნა პრემიერ-მინისტრმა.

გიორგი კვირიკაშვილის თქმით, ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დინამიკა არის ძალიან მაღალ დონეზე, რაც საბოლოოდ რიგითი ადამიანების სოციალურ მდგომარეობაზე აისახება.

„ეკონომიკური დინამიკა არის ძალიან სახარბიელო, გვაქვს ბიზნესისთვის ძალიან სასარგებლო ზრდა ტურიზმის მიმართულებით და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ეს არის ამ 300 მლნ აშშ დოლარის გადადინების ეფექტი - მცირე და საშუალო ბიზნესის ზრდაზე, სექტორზე, რომელიც ყველაზე მეტად აისახება ჩვენი მოსახლეობის, რიგითი ადამიანების, ბიზნესმენების, მცირე მეწარმეების, სოფლად მცხოვრები ადამიანების - რომლებიც არ არიან მსხვილი ბიზნესმენები - ყოველდღიურ ყოფაზე. ეს არის ის ეფექტი, რომელიც ყველაზე მეტად გვჭირდება,“- განაცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა.

მთავრობის მეთაურმა დღესვე მცირე ბიზნესის განვითარების ხელშეწყობის მეორე ეტაპის დაწყება დააანონსა.

„ჩვენ ვგეგმავთ მცირე ბიზნესის განვითარების მეორე ტალღას - კაპიტალში დახმარებას, არა მხოლოდ დამწყები, არამედ მცირე და საშუალო ბიზნესებისთვის. გვაქვს უკვე გარკვეული იდეები ამ მიმართულებით, მთავრობის ეკონომიკური ბლოკი მუშაობს აღნიშნულ საკითხზე და მე დარწმუნებული ვარ, რომ ის ეფექტი, რომელსაც 300 მლნ აშშ დოლარის შემოდინება შექმნის ამ სექტორებში პირდაპირ აისახება არაერთ სხვა სექტორზე, ეს იქნება - კვების მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, ტრანსპორტი, კომუნიკაციები და ა.შ.

ასე რომ, ძალიან სახარბიელო ჯაჭვურ რეაქციასთან გვაქვს საქმე და ეს არის ის ჯაჭვური რეაქცია, რომელიც ჩვენს ქვეყანას გადააქცევს ყველაზე დინამიკურ ქვეყნად ჩვენს რეგიონში და ჩვენ ნამდვილად გვაქვს ის პოტენციალი, რომ ვუმასპინძლოთ არა მხოლოდ კაპიტალს, არამედ განათლებას, მეცნიერებას, კულტურას და ეს ყველაფერი რა თქმა უნდა ჩვენი ქვეყნის მოქალაქეებზე, საბოლოო ჯამში, ძალიან პოზიტიურად აისახება,“- განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა და „საქართველოს კაპიტალს“ სამომავლო საქმიანობაში წარმატებები უსურვა.

ალიონი

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.

ყოველკვირეული გამოშვება. № 11 (10256) 19 მარტი, 2018 წ. ფასი 60 თეთრი.

ხანძარი ანასეულში

14 მარტს, დაახლოებით 16 საათზე, ანასეულში, ადამ ბერიძის სახელობის ნიადაგის დიაგნოსტიკური ცენტრის საკოლექციო ნაკვეთში ცეცხლი გაჩნდა. ხმელ ბალახზე მოდებული ცეცხლის ჩაქრობა აქვე ჩაის ამოძირკვაზე მომუშავე მუშებმა ვერ შეძლეს და გამოიძახეს სახანძრო სამაშველო სამსახური. მეხანძრეებმა ნახევარ საათში შეძლეს ცეცხლის ლიკვიდირება.

1,7 ჰექტარი ფართობიდან დამწვარია დაახლოებით 7000 კვადრა-ტული მეტრი, მათ შორის, 4000 კვადრატულ მეტრზე გაშენებული ვაშლის, ატმის ბლისა და ალუბლის ნარგავების მნიშვნელოვანი ნაწილი.

შესაბამისი სამსახურები იძიებენ ხანძრის გამომწვევ მიზეზს.

იკითხეთ გაზეთი „ალიონი“

საცალო ფასი – 60 თეთრი

ხელმოწერა:

6 თვით – 14.80 ლარი

ერთი წლით – 29.60 ლარი

ინციდენტი, რომელიც კინალამ ტრაგედიით დამთავრდა

ოზურგეთში ქალმა მიკროსაფინანსო ორგანიზაციის წინ ბენზინი გადაისხა და თავის დაწვა სცადა

თემურ მარშანიშვილი

გავრცელებულ ინფორმაციას, რომ 14 მარტს ქალაქ ოზურგეთში, სესხის გამო საშუალო ასაკის ქალმა მ. შ-მ ბენზინი გადაისხა და თავის დაწვა სცადა, მისი გადარჩენა კი გამვლელებმა და პოლიციელებმა შეძლეს, თვითმხილველები ადასტურებენ, ოღონდ ეს ინციდენტი მოხდა არა მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „ლაზიკა კაპიტალის“ მიმდებარე ტერიტორიაზე (წულაძის ქუჩა), როგორც ეს მედიასაშუალების ნიუსებშია აღნიშნული, არამედ მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კრედიტსერვისი +“-ის წინ (თაყაიშვილის ქუჩის დასაწყისში).

იმავე თვითმხილველთა თქმით, გამვლელებსა და პოლიციას რომ არ ემარჯვა, ტრაგედია დატრიალდებოდა და სიცოცხლის მოსპობის საფრთხე შეექმნებოდა არა მხოლოდ ხსენებულ ქალბატონს, არამედ კრედიტსერვისის თანამშრომლებსა და მიმდებარე ტერიტორიაზე მყოფ მოქალაქეებს.

შ. მ. გადაყვანილ იქნა „მედალფას“ კლინიკაში. ექიმების თქმით, პაციენტს ჰქონდა მძიმე ნერვული სტრესი, არ ჰქონია ფიზიკური დაზიანება.

სხვადასხვა მედიასაშუალებების ინფორმაციით, მომხდართან დაკავშირებით შსს-მ გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით დაიწყო, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

„ალიონის“ მიერ მოძიებული ინფორმაციით, მ. შ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი დაბის მკვიდრია. ჰყავს, ორი ვაჟი, რომელთაგან ერთი შრომისუუნაროა ასევე ჰყავს რძლები, შვილიშვილები. ოჯახს, რომელიც ათი წევრისაგან შედგება, რამდენჯერმე აქვს მიღებული დახმარება სახელმწიფოსგან, როგორც რამაზ ნიკოლაიშვილის გუბერნატორობის დროს, ისე შემდგომ პერიოდებში იღებს საარსებო შემწეობას. ოჯახის მფლობელობაშია თხილით გაშენებული მიწის ნაკვეთები, ასევე იაპონური წარმოების საკუთარი მიკროავტობუსი, რომელიც 8 კაცს იტევს.

მ. შ. ოზურგეთის აგრარულ ბაზარში, მაღაზიაში საქმიანობს. გასულ პარასკევს, 16 მარტს აქ მხოლოდ მისი ორი შვილიშვილი დამხვდა. როგორც მითხრეს, მათი ბებია ჯანმრთელობას არ უჩივის და რამდენიმე დღეში გამოვა სამსახურში, როცა გაიგეს, რომ რედაქციიდან ვიყავი, ბაზრის წინ ერთ-ერთ მაღაზიაში მოვაჭრე ქალბატონს შემახვედრეს, უფრო ზუსტად გეტყვით ყველაფერსო. ქალბატონმა მითხრა, რომ მ. შ-ს ბანკის ყოველდღიური ვალი ჰქონდა გადასახდელი, ვერ იხდიდა, ბანკმა შეღავათი არ გაუწია და მ.შ-ს

გვ-2

გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო პრომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;

– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 150-150 ლარი;

– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;

– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;

– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.

– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 25 ლარი;

– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

საცალო ფასი: 60 თეთრი,
ხელმოწერა:
ერთი თვით – 2,40 ლარი,
სამი თვით – 7,20 ლარი,
6 თვით –14,40 ლარი,
ერთი წლით – 28,80 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.

ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.

რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.

რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარედაქციო კოლეგია

რედაქტორი
ნუგზარ ასათიანი
nugzarasatiani@rambler.ru
558 499100

საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:
თემურ მარშანიშვილი
tem52@mail.ru
599 373515

კომპიუტერული უზრუნველყოფა
გიორგი გოგოლაძე
gia_77@mail.ru
551 576060

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3
ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „მერიდიანში“
მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

დაინყეთ ყოველი ოხშაბათი ალიონზე

«ალიონით»

ინციდენტი, რომელიც კინალამ ტრაგედიით დამთავრდა

ოზურგეთში ქალმა მიკროსაფინანსო ორგანიზაციის წინ ბენზინი გადაისხა და თავის დაწვა სცადა

თავდებს ქონება დაუყადაღა. ამის გამო მოხდა, რაც მოხდა, - მითხრა ახალგაზრდა ქალბატონმა და მირჩია ზ. შ-ს დავლოდებოდი, რომელიც ორშაბათს, 19 მარტს გამოვიდოდა სამუშაოდ.

„კრედიტსერვისი+“-ის რეგიონულმა მენეჯერმა ***მანუჩარ მელაძემ,*** *რომელიც აშკარად შეწუხებული იყო მომხდარის გამო, დამიდასტურა, რომ ქალბატონი მ.შ ნამდვილად არის ამ მიკროსაფინანსო ორგანიზაციის კლიენტი:*

„გაოგნებული ვარ და ვწუხვარ იმის გამო, რაც მოხდა ასე მოულოდნელად. კი, ეს ქალბატონი ჩვენი ორგანიზაციის კლიენტია. მინდა იცოდეთ, რომ ნამდვილად არა ვართ ორიენტირებული იმაზე, რომ ჩვენს კლიენტებს პრობლემები შეექმნათ. რახან სადავო საკითხია, ტელეფონის ნომერს მოგცემთ და უმჯობესია, ჩვენს ადვოკატს ***ცოტნე ცანავას*** *დაუკავშირდეთ თბილისში.“*

ცოტნე ცანავამ სატელეფონო საუბარში გვითხრა, რომ ამ ქალბატონსა და „კრედიტსერვისი+“-ს შორის, სასესხო ურთიერთობის გამო, სასამართლო დავა მიმდინარეობს:

„ამ ქალბატონსა და „კრედიტსერვისი +“-ს შორის, სასესხო ურთიერთობის გამო, სასამართლო დავა მიმდინარეობს და პროცესის დამთავრებამდე კონკრეტულად ბევრს ვერაფერს გეტყვით. შემიძლია გითხრათ, რომ ქალბატონთან საკონსულტაციო საუბარი ჰქონდა ჩვენს შესაბამის სამსახურს. კარგია, რომ ინციდენტი მშვიდობიანად დამთავრდა ძნელი სათქმელია, რა იყო ამ ქალბატონის ასეთი ქმედების მიზანი, მაგრამ ასეთი დავების 80 პროცენტი ჩვენთან მთავრდება მორიგებით, რომლის მიხედვით კლიენტს ეძლევა დავალიანების თანდათანობით დაფარვის შესაძლებლობა. დაველოდოთ სასამართლოს გადაწყვეტილებას“.

„კრედიტსერვისი +“ საქართველოში ერთ-ერთი წარმატებული მიკროსაფინანსო ორგანიზაციაა, რომელიც უკვე 18 წელია ფუნქციონირებს. ოზურგეთში მისი რეგიონული ფილიალი კი შარშან ამოქმედდა.

კონსტანტინე შარაშენიძე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს შეხვდა

ოზურგეთის მუნიციპალტეტის მერი **კონსტანტინე შარაშენიძე** არასამთავრობო ორგანიზაციების: „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციისა“ და „საქართველოს დემოკრატიული განვითარების კავშირის“ ოზურგეთის ორგანიზაციების ხელმძღვანელ პირებს შეხვდა.

მერმა თამაზ ტრაპაიძესთან, ლევან ხინთიბიძესთან და ირაკლი პაპავასთან ერთად მუნიციპალიტეტის მერიასა და მერიას დაქვემდებარებულ ორგანიზაციებში მიმდინარე პროცესების დეტალები განიხილა.

როგორც შარაშენიძემ აღნიშნა, მიმდინარე და დაგეგმილი ცვლილებების მონიტორინგის მიზნით პროცესებში არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების ჩართვის აუცილებლობას ხედავს, რათა ყველა ცვლილება გამჭვირვალედ და სამართლიანად წარიმართოს.

„არასამთავრობო ორგანიზაციები აყალიბებენ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ დღის წესრიგს ქვეყანაში და ადგილობრივ თუ ცენტრალურ ხელისუფლებას მუშაობის უფრო მოქნილ მექანიზმებს სთავაზობენ, გვინდა ვითანამშრომლოთ ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან და მზად ვართ გავითვალისწინოთ მათი ყველა რეკომენდაცია,“- აღნიშნა შარაშენიძემ.

ოზურგეთელმა მოჭიდავეებმა წარმატებით იასპარეზეს

საქართველოს პირველობაზე 20 წლამდე ასაკის სპორტსმენთა შორის, ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში წარმატებით გამოვიდნენ ოზურგეთელი მოჭიდავეები;

ირაკლი ძიმისტარიშვილი (60 კგ. ლიხაურის საჭიდაო სკოლა, მწვრთნელი ბექა ჩოფლიანი) ჩემპიონი გახდა; 82 კგ. ამავე სკოლის აღზრდილი, მძიმეწონისანი **რობიკო ესაძე** მე-3 იყო; 87კგ. წონით კატეგორიაში **ლუკა ზაქარიაძემ** მე-2 ადგილი დაიკავა (მწვრთნელი უჩა მჟავანაძე), ხოლო ბრინჯაოს მედალი ამავე წონით კატეგორიაში **რამინი ჭელიძემ** აიღო (მწვრთნელები გურამ და დავით მაჭარაშვილები).

უნდა აღინიშნოს, რომ ირაკლი ძიმისტარიშვილი, ლუკა ზაქარიაძე და რობიკო ესაძე აწ გარდაცვლილ ალექსანდრე ბოლქვაძესთან ვარჯიშობდნენ.

გათამაშებას „მერცხალი“ და ბათუმის „დინამო 2“ ლიდერობენ

13 მარტს, საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის რეგიონლიგაში („ბ“ჯგუფი), მოასპარეზე ოზურგეთის „მერცხალი“ ბათუმში „დინამო 2“ შეხვდა. დაძაბული შეხვედრა ფრედ 0:0 დასრულდა.

სხვა მატჩები ასე დასრულდა: „ხიხანი“-მეტა 4:3; „სქური“-„ზანა“ 1:1; „ლესიჭინე“-„ოდიში 1919“ 0:1.

2 ტურის შემდეგ ჯგუფში გათამაშებას „მერცხალი“ და „დინამო 2“ 4-4 ქულით ლიდერობენ.

მომდევნო ტური 22 მარტს გაიმართება. „მერცხალი“ ხულოს „ხიხანს“ უმასპინძლებს.

დისკუსია გურიაში ქალთა უფლებების მდგომარეობის შესახებ

13 მარტს, ოზურგეთის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში გაიმართა დისკუსია გურიაში ქალთა უფლებების მდგომარეობის შესახებ.

„გავერთიანდეთ ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ“ პროექტის ფარგლებში,

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის რეგიონული დეპარტამენტის ოზურგეთის ოფისის წარმომადგენელმა თამარ ოგანოვმა პრეზენტაცია წარმოადგინა გურიის რეგიონში ქალთა უფლებების მდგომარეობის, ოჯახში ძალადობისა და პრევენციული ღონისძიებების შესახებ.

დისკუსიაში მონაწილეობა მიიღეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებმა, მერიის განათლებისა და გენდერის საკითხთა განყოფილების, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებმა და დაინტერესებულმა პირებმა. შეხვედრის მიზანი გურიაში ქალთა მიმართ ძალადობის არსებული ფაქტების, სტატისტიკისა და პრევენციის ზომების განხილვა გახლდათ.

დისკუსია ქალთა ისტორიული თვის ფარგლებში გაიმართა, რომელიც ყოველ წელს აღინიშნება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. „დემოკრატიული ჩართულობის ცენტრების ქსელი“ უკვე რამდენიმე წელია, მარტში ქალთა ისტორიის თვეს სხვადასხვა ღონისძიებებით აღნიშნავს.

განცხადება

სააქციო საზოგადოება „იმედი“-ს აქციონერთა საყურადღებოდ!

2018 წლის 30 მარტს, დღის 16 საათზე, მოწვეულია სააქციო საზოგადოებს „იმედი“-ს აქციონერთა საერთო კრება.

დღის წესრიგი

1. გასული 2017 წლის სამეურნეო და ეკონომიკური შედეგების განხილვა. (მომხსენებელი ოლეგ გობრონიძე);
2. 2017 წლის მოგების (დივიდენდის) გაცემის შესახებ.

სააქციო საზოგადოებს იმედის ადმინისტრაცია.

სამუშაო შეხვედრა ფაროსანასთან ბრძოლის საკითხებზე

აზიურ ფაროსანასთან ბრძოლის საკითხებზე სხვადასხვა ფორმატის შეხვედრები ოზურგეთში ინტენსიურად მიმდინარეობს.

ამჯერად გარემოსა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე სოლომონ პავლიაშვილი, სურსათის უვნებლობის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელ ზურაბ ჩეკურიშვილთან ერთად შეხვდა გურიის მხარის გუბერნატორს მერაბ ჭანუყვაძეს, ადგილობრივი თვითმართველობის ხელმძღვანელებს, სოფლის მეურნეობის სამსახურის ხელმძღვანელებს. სამუშაო შეხვედრაზე მინისტრის მოადგილემ მავნებლის საწინააღმდეგო სახელმწიფო სტრატეგიაზე და ხედვაზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ მიმდინარე წელს სახელმწიფოს მხრიდან მასშტაბური ღონისძიებები განხორციელდება.

„აზიური ფაროსანას წინააღმდეგ ფართომასშტაბიანი ღონისძიება იწყება. მავნებელთან ბრძოლის სტრატეგია,სამოქმედო პროგრამა ქართველი და უცხოელი სპეციალისტების მიერ შემუშავდა. ღონისძიების მიზანია, მოხდეს მავნებლის პოპულაციის შემცირება,სასოფლო-სამეურნეო კულტურების დაზიანებისა და მიყენებული ზარალის მინიმუმამდე დაყვანა. ასევე უმნიშვნელოვანესია აღნიშნულ პროცესში მოსახლეობის ჩართვაც“, განაცხადა **სიმონ პავლიაშვილმა.**

როგორც შეხვედრაზე სურსათის უვნებლობის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელმა განმარტა, მოხდება სრულმასშტაბიანი მონიტორინგი ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე. მონიტორინგის ფარგლებში, განთავსდება სპეციალური დამჭერი ხაფანგები (ფერომონები). დაიგეგმება შესაბამისი ღონისძიებები, ქიმიური წამლობა. მუნიციპალიტეტებში შეიქმნება საკოორდინაციო შტაბები, რომლებიც 24-საათიან რეჟიმში იმუშავებს.

მერაბ ჭანუყვაძე, გურიის გუბერნატორი: - *„ყველაზე დიდი გამოწვევა ჩვენი ქვეყნისთვის არის ფაროსანასთან ბრძოლა. ვიწყებთ აქტიურ სამუშაოებს და მუნიციპალიტეტებში, მოსახლეობისთვის აზიურიფაროსანას შესახებ ამომწურავი ინფორმაციის მიწოდების მიზნით, გაიმართება საინფორმაციო შეხვედრები. ვფიქრობ,სახელმწიფოსა და მოსახლეობის კოორდინირებულიმუშაობით,მავნებლის წინააღმდეგ ბრძოლას ნამდვილად ექნება შედეგი“.*

შეხვედრას ასევე დაესწრნენ გარემოსა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის თანამშრომლები, სურსათის ეროვნული სააგენტოსა და გურიის სატყეოს სამსახურების წარმომადგენლები. აზიური ფაროსანა დასავლეთ საქართველოში 2015 წელს დაფიქსირდა და 2016 წელს გავრცელდა. მავნებელმა მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა მეთხილეობის დარგს. ინვაზიური მავნებელი, თხილის გარდა, აზიანებს თითქმის ყველა სახის სასოფლო-სამეურნეო კულტურას. აღნიშნული პრობლემის მოგვარების მიზნით, სურსათის ეროვნულმა სააგენტომ, აშშ-ის განვითარების (**USAID**) სააგენტოს საქართველოს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის აღდგენის პროექტის (**REAP**) მხარდაჭერით, მსოფლიოს წამყვან სპეციალისტებთან ერთად, შეიმუშავა აზიური ფაროსანას საწინააღმდეგო ღონისძიებების სტრატეგია, რომელიც ითვალისწინებს მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებას, მავნებლის საწინააღმდეგო ღონისძიებებს (ქიმიური წამლობა) და მონიტორინგს. ჩატარდა შეხვედრები და სწავლებები საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, დაიბეჭდა საინფორმაციო მასალები და მომზადდა საინფორმაციო ვიდეორგოლი.

ანასეულის წყალსადენის აუზი შეკეთდება

რა ბედი ეწია ანასეული-ექადიის წყალსადენის პროექტს

მარი კოკოევი

ანასეულის წყალმომარაგების სისტემის წყალშემკრები და გამანაწილებელი აუზიდან წყალი იღვრება და მოსახლეობას შეფერხებით მიეწოდება. ოზურგეთის მერის მოადგილის, **ოსიკო თოთიბაძის თქმით,** აუზს მექანიკური დაზიანებები აქვს.

გასული კვირის ხუთშაბათს თოთიბაძე, საკრებულოს დეპუტატი ლავრენტი ბიგვავა და შპს „სატისის" ხელმძღვანელი დავით ცერცვაძე პრობლემას ადგილზე გაეცნენ.

თოთიბაძემ გვითხრა რომ პრობლემის შესახებ რამდენიმე დღის წინ ადგილობრივი მოსახლეობისგან შეიტყო. ჯერ არ არის დაზუსტებული რა თანხაა საჭირო პრობლემის გადასაჭრელად.

„არსებობს ბევრი შემფერხებელი ფაქტორი და გასათვალისწინებელი დეტალი, რომელზეც შესაბამისმა სამსახურებმა მუშაობა უკვე დაიწყეს. მიმდინარეობს სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტებზე მუშაობა, რასაც შემდგომი პროცედურები მოჰყვება და აღნიშნული პრობლემა ეტაპობრივად მოგვარდება“ – გვითხრა თოთიბაძემ..

ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, წინა ადგილობრივი ხელისუფლების დროს ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ მიდიოდა მუშაობა ანასეული-ექადიის წყალსადენის მოწყობაზე, რომელზეც უნდა გახარჯულიყო 1 400 000 ლარი. მერის მოადგილეს აღნიშნულზეც ვკითხეთ. თოთიბაძე ამასთან დაკავშირებით ინფორმაციას არ ფლობს:

„თანხა ბიუჯეთში არ იყო არც ნაშთად, არც გარდამავალ პროექტად, სად წავიდა და რატომ არაა, წინა ხელისუფლებას ჰკითხეთ“, – გვიპასუხა ოსიკო თოთიბაძემ.

აღნიშნულზე საკითხთან დაკავშირებით ვკითხეთ მუნიციპალიტეტის სივრცით ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარეს ლავრენტი ბიგვავას, რომელიც ქალაქის წინა ხელისუფლების დროს ანასეული-ექადიის მაჟორიტარი დეპუტატი იყო. მისი თქმით, ნამდვილად იყო ასეთი პროექტი, რომელიც „რეგიონული განვითარების ფონდმა დაიწუნა: *„ეს პროექტი „რეგიონული განვითარების ფონდმა დაიწუნა და ალტერნატიულ ვარიანტზე დაიწყო მუშაობა, რაც დღემდე მიმდინარეობს“,* გვითხრა სატელეფონო საუბარში ლავრენტი ბიგვავამ.

მაჟორიტარები

ტარიელ არაშიძე – სოფ. კონჭკათი

ტარიელ არაშიძე მშობლიურმა სოფელმა წარმომადგენლობით ორგანოში მეორედ 700 (92.96%) ხმით აირჩია. საკრებულოში იგიფრაქცია „ქართული ოცნება- დემოკრატიული საქართველოს“-ს თავმჯდომარეა, თუმცა გასული მოწვევის საკრებულოდან აქვს ინფრასტრუქტურის კომისიის ხელმძღვანელის მუშაობის გამოცდილება. მოიპოვო სოფლის ასეთი ნდობა, ეს არის შედეგი თავდაუზოგავი შრომის, ჩემი სოფლის დიდი სიყვარულის, თანასოფლელებთან მჭიდრო ურთიერთობისა და იმ გუნდის გვერდში დგომის, რომელსაც „ქართული ოცნება“ ჰქვია. სწორედ ამ გუნდს წარმოვადგენ საკრებულოში. უმრავლესობის ფრაქციის მიზანია საქმიანობა წარვმართოთ ჩვენი მუნიციპალიტეტის საკეთილდღეოდ. თუმცა ახლა ჩემს, როგორც მაჟორიტარის, მოვალეობებსა და საქმიანობაზე გავამახვილებ ყურადღებას.

აღვნიშნავ ყველა იმ გაკეთებულ საქმეს, რომელიც ქართული ოცნების ხელისუფლებაში მოსვლის დღიდან ჩემს სოფელში განხორციელდა. დაიგო სოფლის ცენტრალური გზა, შიდა გზების პრობლემატურ მონაკვეთები, დაახლოებით 4.5 კმ, მოეწყო რკინა-ბეტონის საფარით. სპავშო ბაღში ჩატარდა სარემონტო სამუშაოები, კეთილმოეწყო ადმინისტრაციული შენობა, სადაც განთავსებულია ახალგაზრული ცენტრი, აღჭურვილი ტექნიკით და ბანკის ფილიალი, რათა კონჭკათლებისთვის ხელმისაწვდომი იყოს სერვისი. სრულდება გაზიფიცირების სამუშაოები, რომელიც მთელს სოფელში ჩატარდა. ეტაპობრივად რემონტდებოდა სკოლის შენობა. გასულ წელს დასრულდა სპორტული დარბაზის სარემონტო სამუშაოები და ჩვენი ახალგაზრდები ერთ-ერთი ყველაზე კეთილმოწყობილი სპორტული დარბაზით სარგებლობენ. ასევე გასულ წელს სოფელმა სკოლის 100 წლის იუბილე აღნიშნა. დავაჯილდოვეთ საპატიო კონჭკათლები, დავაწესეთ სოფლის დღესასწაული „კონჭკათლობა“. კულტურულმა ღონისძიებებმა კიდევ უფრო გამოაცოცხლა ჩვენი სოფელი, რომელიც გამოირჩევა ისტორიული მონასტრით. მე-11 საუკუნის ეს მონასტერი „ქართუ ჯგუფის“ დახმარებით აღდგა.

სოფელში მართლაც მასშტაბური პროექტები განხორციელდა, სწორედ ამას ხედავსჩვენი მოსახლეობა და აფასებს კიდეც. თუმცა რა თქმა უნდა მოსაგვარებელია სხვდასხვა სახის პრობელემები. მათ შორის გამოვყოფ რამდენიმე მათგანს: - შიდა გზებია მოსაწესრიგებელი, თავდაპირველად დაგეგმილია ორმეთის მიმართულებით გზის პროექტირება, ასევე ხვარბეთი კატისციხის მიმართულებით ბეტონის საფარით გზის მოწყობა,დასასრულებელია გარე განათების მოწყობითი სამუშაოები. ჩვენი სოფელი ერთ-ერთია, რომელიც მეწყერ საშიშ ზონაში მდებარეობს. ჩასატარებელია სამუშაოები გეოლოგიური დასკვნებისთვის. თუმცა აღსანიშნავია,რომ ადგილობრივმა ხელიუფლებამ გასულ წელს იზრუნა ეკომიგრანტ ოჯახებზე და ჩვენ 9 ასეთ ოჯახს სოფელ მერიაში დროებით სარგებლობაში გადავეცით საცხოვრებელი ფართები.

ყველაზე მთავარი - მსურს მადლობა ვუთხრა თითოეულ კონჭკათელს ასეთი მხარდაჭერისთვის. ჩემი სოფელი ჩემი ოჯახია, მასზე ზრუნვადიდი ვალდებულებაა, სწორედ ეს არის საქმიანობის მთავრი პრინციპი. ამასთან ერთად დიდი პასუხისმგებლობა მაქვს იმ ამომრჩევლების წინაშე, რომლებმაც ნდობა ქართულ ოცნებას გამოუცხადეს და არა მარტო, ჩვენი გუნდი ორიენტირებულია მთავარ შედეგზე - მუნიციპალიტეტის თითოეულმა მაცხოვრებელმა მიიღოს რაც შეიძლება მეტი სიკეთე.

მერაბ ბერიძე - სოფელი ჯუმათი



სოფელ ჯუმათმა 2017 წლის ადგილობრივ თვითმმართველობის არჩევნებში ნდობა, უკვე მეორედ მერაბ ბერიძეს გამოუცხადა. მან საკრებულოს წევრობის მანდატი 456 (89.06%) ხმით მიიღო.

ნდობის ასეთი მაღალი მაჩვენებლი ჩემთვის უდიდესი პასუხისმგებლობაა. თითოეული ჯუმათელის წინაშე თავს ვალდებულად ვგრძნობ ვიყო აქტიური დეპუტატი, მაქსიმალურად გამოვიყენო უფლებამოსილების ეს პერიოდი სოფლის საკეთილდღეოდ.

ალბათ ეს ნდობა გასულმა პერიოდმაც მარგუნა. არ არის ადვილი ატარო სოფელ ჯუმათის მაჟორიტარის სტატუსი, მითუმეტეს როდესაც სოფელში ბევრი პრობლემაა მოსაგვარებელი. ჩვენ ნელ-ნელა ეტაპობრივად დავიწყეთ პრობლემათა მოგვარება. გასულ წლებში ჩატარდა წყლის სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოები, მოეწყო ბეტონის გზები რთულ მონაკვეთებზე. რამდენიმე უბანში მოეწყო გაბიონები, დასრულდა ინდივიდუალური ელექტრო გამრიცხველიანება. საკრებულომ წარმატებით დაასრულა ცენტრალური გზის სახელდების პროცესი, მოსახლების თხოვნით ქუჩას მონასტრის სახელი მიენიჭა.

ხშირად ვახსენებ მონასტერს, რდაგან ვფიქრობ ჯუმათის მთავარანგელოზის სახელობის მამთა მონასტერი არა მარტო ჩვენი სოფლის, არამედ გურიის და საქართველოს ერთ-ერთი სავიზიტო ადგილია. მიმაჩნია რომ უპირველესად სწორედ მონასტრისკენ მიმავალ გზას უნდა ჩაუტარდეს რეაბილიტაცია, რაც კიდევ უფრო გაზრდის ვიზიტორთა რიცხვს და ხელს შეუწყობს ტურიზმის განვითარებას ჩვენს მუნიციპალიტეტში. მოსაწესრიგეებელია შიდა გზებიც, სჭიროებს მოხრეშვით სამუშაოებს,ასევე განსაკუთრებით რთულ მონაკვეთბზე რკინა ბეტონის საფარით მოწყობას. სოფელი არ არის გაზიფიცირებული. მე როგორც დეპუტატი მაქსიმალურად ვცდილობ ჩემი შუმადგომლობით მოვახერხოთ ამ პრობლემის მოგვარება. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სოფლისთვის მდინარე სუფსაზე ნაპირის გასწორხაზოვნების სამუშაოების ჩატარებაა. იქ ჯუმათლების საყანე ფართობები მდებარეობს. ჩვენი შვილებისთვის კი ყველაზე მთავარი გასაკეთებელი სკოლის რეაბილიტაციაა, რათა ბავშვების გადინება არ მოხდეს ქალაქში და ადგილზე, კომფორტულ გარემოში მოახერხონ სწავლა-განათლების მიღება.

ვისაუბრო აღნიშნულ პრობლემებზე, ვეძებო მათი გადაჭრის გზები ეს ჩემი ვალდებულებაა. სწორედ ამ ვალდებულეების შესრულება იქნება საქმიანობის მთავრი შედეგი - ჩემი თანასოფლელების ნდობის გამართლება.

ოზურგეთის საბალეტო სკოლის პირველი ნაბიჯები მასშტაბური გეგმებისკენ

რატომ უნდა მივიყვანოთ ბავშვი ოზურგეთის საბალეტო სკოლაში?

მარი კოძოევი

რამდენიმე წლის წინ, მსოფლიო პრიმა-ბალერინამ, ირმა ნიორაძემ გაზეთ „ალიონთან“ ინტერვიუში დააანონსა, რომ მისი ინიციატივით ოზურგეთში საბალეტო სკოლა გაიხსნებოდა.

ირმა ნიორაძის სახელობის საბალეტო სკოლამ ფუნქციონირება უკვე დაიწყო. სკოლა ჯუმბერ დუნდუას ქორეოგრაფიული სტუდიის ბაზაზე ჩამოყალიბდა. მომავალ ბალერინებს გაკვეთილებს ბალეტის ცნობილი სახეები **მანანა ნიორაძე** და **მერი (მეკო) კვაჭანტირაძე** ჩაუტარებენ.

სკოლის შესახებ მეტის გასაგებად ერთ-ერთი მათგანი, მერი ჩავწერეთ. მისი თქმით, მოსწავლეთა მიღება ამ ეტაპზეც გრძელდება. დღემდე სკოლაში მისაღები გამოცდების შედეგად 3-დან 16 წლამდე სამოცდაათი ბავშვი ჩაირიცხა. ჯგუფები დახარისხებულია ასაკის მიხედვით 3-დან 5 წლამდე, 6-დან 10 წლამდე და 11 წლიდან ზემოთ.

მერი კვაჭანტირაძე: „ჩვენს საბალეტო სკოლაში შეისწავლება სხვადასხვა ფაკულტეტები. კლასიკური ბალეტი, კლასიკური, ჭაბუკიანისეული და არა ფოლკლორული ქართული ცეკვა მაგალითად: ქართული საბალეტო სპექტაკლებიდან ნარკვევები, „გორდა,“ „მთების გული“, „მალთაყვა,“ „სინათლე“ და ასე შემდეგ. ჩვენი დევიზია დავუბრუნოთ საქართველოს ქართული საბალეტო სპექტაკლები. მეორე ფაკულტეტია მსოფლიო ხალხთა ცეკვები. მესამე - თანამედროვე ცეკვები, მოდერნიზებული ცეკვები.. მეშვიდე მერვე წელს დაემატება მსახიობის ოსტატობა, გრიმი, თეატრისა და ბალეტის ისტორია ბოლოს დასრულდება სასცენო პრაქტიკით. პერიოდულად ჩვენი სკოლის მოსწავლეები მიიღებენ ფესტივალებში მონაწილეობას როგორც საქართველოს მასშტაბით ისე საზღვრებს გარეთ."

გამოცდილ პედაგოგს ვკითხეთ, რატომ უნდა მივიყვანოთ ბავშვი მათთან. დამატებით რა უნარებს ავითარებს ბალეტი?

„კლასიკური განვითარების გარდა, ჩვენ პროფესიონალური მოძრაობებით ვებრძვით ბავშვის დეფექტურ განვითარებას. კონკრეტულად რაქიტიზმს, რაც მასაჟით შეუძლებელია. მაგალითად: დახურული ტერფები, ბრტყელტერფიანობა, მუხლის ქვედა კიდურის გაღუნვა, დახურული მენჯები, ხერხემლის გამრუდება-„სქოლიოზი“, მხრების არასიმეტრიული მდებარეობა რაც სისტემატურად გვხვდება ჩვენს პრაქტიკაში თითქმის მთელი საქართველოს მასშტაბით. ასევე ხდება მუსიკალური სმენის განვითარება, ბავშვის უმაღლესი კულტურისა და ეთიკის განვითარება“– გვეუბნება მერი.

ოზურგეთის ირმა ნიორაძის საბალეტო სკოლას მასშტაბური გეგმები აქვს. მერი კვაჭანტირაძის თქმით, იგეგმება „სკოლის მოსწავლეთა ბაზაზე დაარსდეს გურიის სახელმწიფო საბალეტო დასი".

ვულოცავთ

ფოტო გადაღებულია 70-იანი წლების დასაწყისში

ამაგდარ ჟურნალისტს, ღვაწლმოსილ ადამიანს, საუკეთესო ოჯახის მამას, ბაბუას, მეუღლეს **რომან ცეცხლაძეს** დაბადებიდან 85 და ჟურნალისტური მოღვაწეობის 60 წლისთავს.

გაზეთ „ალიონის“ რედაქცია

წაიკითხეთ „რვას + 1“

დღევანდელი ქართულ ჟურნალისტიკას რომ არ ულხინს, ეს მხოლოდ ჩემი აზრი არ არის. თუ ამ დარგის გადარჩენაზე ვფიქრობთ, დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, ვინ მოდის მომავლიდან, ვინ შექმნის, ვინ განავითარებს ხვალინდელ ქართულ მედიას.

საბედნიეროდ, ოზურგეთში გამოჩნდნენ ახალგაზრდები, რომლებსაც უკვე ხელეწიფებად სერიოზული გაზეთის გაკეთება. მკითხველი, ალბათ, მიხვდა, რომ მხედველობაში მყავს „ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირის“ ლიდერთა სკოლის მოსწავლეები და მათი გაზეთი „რვას +1“. ამ გამოცემის დაბადებაც კარგად მახსოვს და მის მიერ შემდგომ გადადგმული შთამბეჭდავი ნაბიჯები. ყოველივე ამას იმიტომ კი არ ვწერ, რომ ამ გაზეთისა და ამ ბავშვების გულშემტკივარი ვარ, არამედ იმიტომ, რომ საზოგადოებამ სიმართლე იცოდეს.

„რვას + 1-ის“ წლევანდელი იანვრის ნომრს რამდენიმე დღის წინ გავეცანი და შემიძლია გითხრათ, რომ ეს არის ჟანრობრივად გამართული, თემატურად საინტერესო, აქტუალური საკითხებით საკმაოდ დატვირთული გაზეთი. ნომრის ყველა მასალა კითხვადია, რაც შეეხება თაკო თავართქილაძისა და მარიამ ვასაძის ავტორობით ბულინგის თემაზე გამოქვეყნებულ წერილს, მას ალბათ უკვე სახელდებული ჟურნალისტებიც მოაწერდნენ ხელს.

არა მგონია, ვაჭარბებდე და თუ მაინც ვინმე ფიქრობს, რომ ვაჭარბებ, ყველა თუ არა, გაზეთის ეს ნომერი მაინც წაიკითხოს და მერე შემედავოს.

თემურ მაროშანიშვილი

გურიელები

აქვე კიდევ ერთი თავისებურების შესახებ. ესაა სახელობითი ბრუნვის ნიშანი „ი“-ს Ω –თ შენაცვლება. ეს ფაქტი ზარზმის სხვა წარწერებშიც გვაქვს დადასტურებული....

გურიელის წარწერაში არც საკუთარი სახელი (სუიმონ) არის მოცემული სწორი ფორმით (უნდა იყოს „სუიმონ“).

ამ წარწერის ზემოთხსენებულ დათარიღებას მხარს უჭერს ტაძრის ფრესკათა მხატვრულ-ისტორიული შესწავლაც. ამ საკითხს ჯერ კიდევ დ. გორდეევი შეეხო 1923 წელს დაბეჭდილ ერთ-ერთ ნაშრომში. განსვენებული მკვლევარი ზარზმის მხატვრობის თარიღად მე-14 საუკუნის პირველ ნახევარს გულისხმობდა. შემდგომმა კვლევა-ძიებამ ეს ჩარჩოები მე-13 საუკუნის მიწურულით და მე-14 საუკუნის პირველი წლებით დააკონკრეტა.

ამ სინათლეზე, სვიმონ გურიელის ცხოვრება-მოღვაწეობის დროს საკმაოდ ხელშესახებად ისახება და ზუსტდება. ის ქრონოლოგიური მოსაზრებანი, რომელიც თავის დროზე (და არაერთი) გამოთქმა ისტორიულ ლიტერატურაში (ე. თაყაიშვილი, ს. კაკაბაძე, ო. სოსელია).

სვიმონ გურიელის ზარზმის ფრესკა რამდენიმე საგულისხმო ჩვენებას შეიცავს ამ პიროვნებას შესახებ. აქედან ჩანს, რომ:

1. მე-13 მე-14 საუკუნის მიჯნაზე, როცა ფრესკა დაიხატა ზარზმის ტაძარში, სვიმონ გურიელი მოხუცი ყოფილა, დაახლოებით 60-70 წლისაამას მოწმობს მისი ჭაღარა წვერი და სახის ნაკეთები. ამის მიხედვით, მისი დაბადების სავარაუდო თარიღის მითითებაც შეიძლება (მე-13 საუკუნის 30-40-იანი წლები).

2. მოხუცებულობის ჟამს თავი მუნებია პოლიტიკური მოღვაწეობისათვის და ბერად შემდგარა. ამას მოწმობს ის სამოსელი (ბერის), რომლითაც იგი ფრესკაშია გამოსახული. რა იყო ამის მიზეზი არ ვიცით. ადვილი შესაძლებელია იგივე მომენტი (მოხუცება), რომელმაც განსაზღვრა სვიმონის თანამედროვის, სარგის ჯაყელის შემონაზვნება საფარაში.

როგორც ლეხოურის წმიდა იაკობის ხატის წარწერიდან ვიცით, გურიელები მოყვრულ /და, შემდეგ, ნათესაურ/ კავშირში იყვნენ სამძივრებთან. იგივე სამძივრები კი ასეთივე ურთიერთობაში იყვნენ ჯაყელებთან. ამ შუაზე ვარდანიძე –გურიელნი და ჯაყელ-ციხისჯვარელნიც გარკვეულ ნათესაურ მიმართებას ავლენდნენ.

მაშასადამე, მე-13 მე-14 საუკუნის მიჯნაზე სვიმონი უკვე პოლიტიკური სარბიელიდან გასული მოღვაწეა. მისი პოლიტიკური მოღვაწეობა (ერისთავთ-ერისთაობა, მსახურთ-უხუცესობა) ამაზე უწინარეს იგულისხმება. ეი. მე-12 -მე-14 საუკუნეთა საყარში. ეს არის სამებელი საკითხის ზედა ქრონოლოგიური საზღვარი. რაც შეეხება ქვედა საზღვარს, ამას დებს წარწერის ცნობა მისი მსახურთუხუცესობის შესახებ. როგორც, ჯერ კიდევ 1925 წელს, სწორად შენიშნავდა ს. კაკაბაძე ზარზმის სვიმონ გურიელი „აფხაზეთის სამეფოს მსახურთუხუცესი უნდა იყოს.“ აფხაზეთის სამეფოში ავტორი გულისხმობა ლიხთიქითის ტახტს, რომელიც ნარიან დავითმა გაიტანა 1259 წელს. ამაზე უწინარეს სვიმონ გურიელის მსახურთუხუცესობა აღარ იგულისხმება. ასე, რომ ჩვენთვის საინტერესო ქრონოლოგიური ჩარჩოები უნდა განისაზღვროს მე-13 საუკუნის 60-იანი -90-ანი წლებით. ამის დაზიუროებისათვის საჭირო ჩვენებანი ჯერ-ჯერობით არ გაგვაჩნია.

როდის გარდაიცვალა სვიმონ გურიელი, ჰყავდა თუ არა მემკვიდრე და არაერთი საკითხი, რომელიც ამ პიროვნებასთან დაკავშირებით წამოიჭრა, ცნობების უქონლობის გამო, ჯერ ჯერობით ღიად რჩება.

ამის შემდეგ ბეშქენ გურიელი უნდა მოვიხსენოთ.

ამ პიროვნების შესახებ არსებული მასალებიდან პირველხარისხოვანი მნიშვნელობისაა ჯუმათის წმინდა გიორგის ხატის ქვემო ბორტის წარწერა, რომელიც დ. ერმაკოვის ფოტოგრაფიით არის მოღწეული ჩვენამდე. ის ფაქტი რომ ძეგლი დღეს დალუპულია, საშუალებას არ იძლევა ამ ბორტის და მისი პარალელური ზედა ბორტის მიმდინარეობის საკითხის გადასაჭრელად. გ. ჩუბინაშვილის დაკვირვებით, აქ რამდენიმე ვარაუდი ჩნდება: 1. ეს ბორტი შეიძლება წმ. გიორგის ხატის განახლების დროინდელი იყოს ანდა 2. ისინი მომდინარეობდნენ რომელიღაც სხვა დაძველებული ხატიდან, როცა ეს ხატი დაშალა, შემდეგ მისი ნაწილები შეეძლოთ დაეკრათ წმ. გიორგის ხატის თავისუფალ ბორტზე /ქვემოთ და ზემოთ/. სხვა საკითხებიც არაერთი იჩენს აქ თავს, მაგრამ ძეგლის მხოლოდ ფოტოგრაფიული სურათით მათი გადაწყვეტა არ ხერხდება. ამას კი ჩვენთვის წარწერის ქრონოლოგიის განსაზღვრისათვის ჰქონდა მნიშვნელობა. ასეთ ვითარებაში დათარიღების მთელი სიმძიმე წარწერის პალეოგრაფიულ ანალიზზე გადადის.

წარწერა ბორტზე განლაგებულია სამ მთავარ ნაწყვეტად ორნამენტულ შეკვეთა შუა. იგი სამ სტრიქონიანია, მთავრული.პირველი და მეორე სტრიქონი თანაბარი ასოებითაა ნაწერი, მესამეზე დაუპატარავებიათ, რადგან აღარ იყო საამისო ადგილი.

ფოტოთი ასეთ სურათს ვღებულობთ:

1. წ დ დო ღ..მფრვლ ეჭენ
2. ბეშქენს: გურ..ესა: მათსა
3. იქელსა: წე ღთსა.

ეს წარწერა პირველად გადმოიღო დ. ბაქრაძემ 1873 წელს. მისი წაკითხულობა ასეთია: წდაო ღთს მფრვლ ეჭენ ბეშქერს გ რიელსა და ძეთა მათსა იქელსა წე ღსთა.

ფოტოდან გადმოღებულ ტექსტსა და უკანასკნელს შორის, საკმაოდ მნიშვნელოვანი სხვაობაა. ზოგი მათგანი უზუსტობის შედეგი ჩანს, ხოლო ნაწილი ავტორის აღდგენით მუშაობას მიეწერება (თუმცა არ მუუთითებს, რადგან ფოტოზე არ შეინიშნება /და უეჭველია, არც ძეგლი იყო).პირველი რიგისაა: პირველ სტრიქონის პირველი ოთხი ასო ავტორს ერთ სიტყვად აქვს მიჩნეული. დედანში მესამე ადგილზე მდგარი დ-ონი დ. ბაქრაძის წაკითხულობაში „ა“-თი არის შეცვლილი.

აღდგენის რიგს მიეკუთვნება: პირველ სტრიქონში მეექვსე-მეშვიდე ასოების /თ ს/ შემოტანა, მეორე სტრიქონში „ვურ“-ს „ვურიელსა“-ს მოტანა და „ესა“ „ძეთა“ გამართვა.

სახელოვან მეცნიერს ტექსტი ვერც კონკრეტული შეცდომებისაგანაა დაუზღვევია. მაგ., უკანასკნელ სიტყვაში ადგილშენაცვლებულია ასოები თ და ს.

წარწერის არც ავტორისეული რუსული თარგმანია სრული. კერძოდ, მასში არ შესულა ორი უკანასკნელი სიტყვა.

უკანასკნელად ეს წარწერა განიხილა გ. ჩუბინიშვილმა. პატივცემული მკვლევარისა და ჩვენს ამოკითხულს შორის მცირე განსხვავებაა. ეს არის მეორე სტრიქონის მეორე სიტყვის მეოთხე ასო /ი/.,რომელიც ჩვენ ვერ გავარჩიეთ. ზოგიერთი უმნიშვნელო სხვაობა იჩენს თავს აღდგენილ ნაწილშიც.

დაზიანებულ და შემოკლებულ სიტყვათა აღდგენა-გასრულების შემდეგ ვღებულობთ:

წ/�დო/, დ/ი/ო ღ/მრთის მხედრო/, მფ/ა/რ/ე/ლ მეჭენ ბეშქენს გ ჯ
რი/ელსა და ძ/ესა მათსა/....მისსა/მ/იქელსა წ/ი/ნაშ/ე ღ/მრ/თ/ი/სა.

როდინდელია ეს წარწერა?

იმ ბორტის მიმდინარეობა –ასაკი, რომელზეც ეს წარწერა, არ ვიცით. ამიტომ სამებელი საკითხი ძირითადად მისმა პალეოგრაფიულმა შესწავლამ უნდა გაითვალისწინოს.

წარწერა მოკლებულია დამწერლობისთვის კლასიკურ ხანაში წაყენებულ მოთხოვნებს: სიზუსტე, ასოთა მოხაზულობა-განლაგების სიმკაცრე და სხვ. აქვე სახეზეა წარწერის ასაკის განსაზღვრისათვის მეტად საინტერესო სპუთი: უ-ს შენაცვლება ჯ -ით. ეს ფაქტი აქ მეორე სტრიქონის სიტყვაში /„გ ჯ
რიელსა/ გვაქვს დადასტურებული. ასეთი რამ ქართულ დამწერლობაში მე-13 საუკუნის უადრეს არ გვხდება და ფართოდ არის გავრცელებული მე-13 მე-14 საუკუნეთა ეპიგრაფიულ ძეგლებში. მაგ., ხინოს წმ. გიორგის ხატის ასომთავრულ წარწერაში /მე-14 ს/.

ამავე დროის უნდა იყოს ჯუმათის წმინდა გიორგის ხატის ქვემო ბორტის წარწერაც.

ამავე ბეშქენ გურიელს უნდა გულისხმობდეს ბაღლეფის მცხოვრის ეკლესიის სამ სტრიქონიანი ასომთავრული წარწერაც:

..იქელ: ძე მისა
..ული: და მეულლე
ბეშქენისა მარიამ

წარწერა გადმოიღო დ. ბაქრაძემ. მისი ცნობით, იგი განლაგებული ყოფილა სამხრეთის შესასვლელის მარჯვნივ ახალგაზრდა კაცის გამოსახულებასთა.

დასაწყისი იხილეთ გაზეთი „ალიონი №10 გვ.4

„დევნილი მოძღვრები“

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის კულტურის განყოფილების მიერ გამოცხადებულ პროექტში „თოვდა და თბილისს ებურა თალხი“, შრომის საჯარო სკოლის მე-11 კლასის მოსწავლეებმა მარიამ ჭაკნელიძემ და თომა ჭკუასელმა, წარდგენილი ნაშრომისათვის „დევნილი მოძღვრები“ მესამე ადგილი დაიმსახურეს (მასწავლებელი რუსუდან ცეცხლაძე). გთავაზობთ აღნიშნულ ნაშრომს:

ანთიმოზ კეჭაღმაძე და მისი მეუღლე ფედოსი

ჩვენ მიერ მოკვლეული მასალა ეხება ძველი მიქელ-გაბრიელის (ასე ერქვა დღევანდელი სოფლების: შრომის, ნატანების, ურეკის, თხინვალის, ომფარეთისა და წყალწმინდის ტერიტორიებზე არსებულ) უძველეს საზოგადოებას, სადაც ათამდე მოქმედი ღვთის სახლი ფუნქციონირებდა. აქ მოღვაწე სასულიერო პირები, ვინც საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან თავგამოდებით იცავდნენ დედა ეკლესიას, მიუხედავად დევნისა, ასრულებდნენ მღვდელმსახურებას. სწორედ მათი ცხოვრების უმძიმეს წლებზე გვინდა გესაუბროთ.

მასალის შეგროვებასა და უნიკალური ფოტოების მოძიებაში დაგვეხმარენ ჩვენი სკოლის დირექტორი, ამავე დროს თემის ხელმძღვანელი, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი რუსუდან ცეცხლაძე და მოძღვრების-ძმების ქრისტეფორე და ივანე კეჭაღმაძეების ნათესავი ბატონი ლეონიდე კეჭაღმაძე. ჩვენთვის საყურადღებო ცნობებს წავაწყდით სკოლის მუზეუმში დაცულ უხუცესთა მოგონებებშიც. შევეცადეთ საინტერესო და მიზანმიმართული რომ გაგვეხადა ჩვენი მუშაობა, ჯერ კარგად შეგვესწავლა ისტორიული კატაკლიზმებით აღსავსე ეპოქა-XX საუკუნის 20-იანი წლების საქართველო.

გურიის წმინდა მიწამ, დღიდან საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა, წმინდა და ღირსეულ კაცთა დევნისა და კვლის ვინ იცის რამდენი საშინელება გადაიტანა. მავანნი ფიქრობდნენ, რომ რევოლუციისა და აჯანყების კერა- გურია, ფართოდ უღებდა კარს რელიგიისა და ერის მოძულეებს, რაც, ვფიქრობ, უმძიმესი ბრალდება და უპატივცემულობაა ჩვენს მშობლიურ კუთხეზე...

თუ გულისყურით გავეცნობით გურიის უახლოეს წარსულს, დავინახავთ, რა ეკლიანი გზებით უვლიათ ჩვენს დიდ წინაპრებს, სახენათელ გმირებს ქრისტიანული რწმენის შესანარჩუნებლად, ერის ინტერესების დასაცავად. სოციალისტური იდეოლოგიით მოწამლული „ახალი დროის გმირები“-ბოლშევიკები თუ ანადგურებდნენ ღვთის სახლებს, მათ გვერდით კი, ჩუმად თუ აშკარად, ამ ტაძართა და საეკლესიო რელიქვიათა გადასარჩენად, მოწამებრივი შემართებით იბრძოდნენ ამ კუთხის შვილები, საეკლესიო თუ საერო პირები.

ამ სამღვდელო პირთაგან რამდენიმე ეკლესიისათვის ცნობილი სახეა, შესაძლოა, მათ შესახებ ბევრი რამ ვიცით, მაგრამ მოძღვართა შორის არიან ისეთებიც, ვის ცხოვრებასაც თითო-ოროლა ადამიანი რომ იცნობს, წაუკითხავს, ან სმენია. ამიტომ ჩვენს საკონკურსო თემაში გვინდა შევეხოთ ურწმუნოთა ძალმომრეობის რამდენიმე ეპიზოდს.

როგორც ვთქვით, მღვდელმსახურთა დევნამ და ეკლესიის რბევამ იმდენად მიიღო მასიური ხასიათი, რომ რევოლუციური ქარტეხილებით აღგზნებული, გათამამებული „ახალი თაობა“ ცდილობდა მის ნაქადაგარს ნაყოფი გამოეღო, ჩაენერგა სიძულვილი ეკლესიისა და იქ მოღვაწე სასულიერო პირების მიმართ და, რაც მთავარია, მრევლი დაეშინებია.

განსაკუთრებით, ამ „ახალი დროის გმირებს“ ხელ-ფეხი გაუხსნა თებერვლის რევოლუციამ, როცა მრავალჭირნახადი საქართველო ბოლშევიკების წყალობით ძალით გააწითლა რუსეთის მე-11 არმიამ.

მიქელ-გაბრიელის ეკლესიებიც ვერ აცდა ნგრევისა და გაჩანაგების საფრთხეს, ეკლესიის დამაქცევრებმა იქ არსებული ქონებაც მიითვისეს და ვინ უწყის, ვის და სად მიჰყიდეს, გაანიავეს!..

გვინდა გესაუბროთ ცნობილი მღვდლის-რომანოზ მეგრელიძის შესახებ, რომლის ღვაწლი დღესაც ჩვენს პატივისცემას მოითხოვს.

რომანოზ მეგრელიძე დაიბადა 1878 წელს. მოღვაწეობდა მშობლიური სოფლის მიქელ-გაბრიელის, დაბა ხრიალეთის მონასტერში. მოძღვარი ბოლშევიკებმა მრავალჯერ გააფრთხილეს, თავი დაენებებინა ღვთისმსახურებისათვის, მაგრამ რომანოზი ვერ „დაიმორჩილეს“. იგი კარგად ხედავდა, რომ „ჩეკამ“ მიქელ-გაბრიელის საზოგადოების ეკლესიების წინამძღვართა და, საერთოდ, იქ მოღვაწე საეკლესიო პირების წინააღმდეგ როგორი დაუნდობელი მეთოდებით გააგრძელა ბრძოლა, ამიტომ შეეცადა მკერდით დაეცვა შეშინებული და აფორიაქებული მრევლი. რაკი ხელისუფლება დარწმუნდა მოძღვრის მტკიცე და უკომპრომისო ხასიათში, გადაწყვიტა მისი მკაცრად დასჯა.

შემოდგომის ერთ საღამოს ცხენზე ამხედრებულმა ბოლშევიკებმა ლამპრების შუქითა და ყიჟინით თავზარი დასცეს სოფელს, ამასაც არ დასჯერდნენ, ხალხის თვალწინ ცეცხლი გაუკიდეს ხრიალეთის ხის ეკლესიას, ლანძღვა-გინება და ცეცხლის ენები ერთმანეთში ირეოდნენ, ქალები ტიროდნენ, მოხუცები ბუზღუნებდნენ და გაჩენის დღეს წყევლიდნენ, მოითხოვდნენ ბარბაროსთა შეყენებას, მაგრამ სატანა კვლავ ხარხარებდა.

რომანოზ მეგრელიძეს, დღიდან გასაბჭოებისა, ადგილობრივმა ხელისუფებამ კატეგორიულად აუკრძალა მღვდელმსახურება, მაგრამ მოძღვარი მისიას ფარულად მაინც ასრულებდა, ავადმყოფებთან დაიარებოდა, ხალხს აზიარებდა, ნათლავდა, ჯვარს სწერდა... სოციალისტური რეჟიმის დამქაშებმა ოზურგეთის „ჩეკაში“ წარადგინეს რომანოზი და რამდენიმე დღე ციხის საკანში გამომწყვდიეს. ტანჯული მოძღვარი, ფიზიკურად და მორალურად შეურაცხყოფილი, დააშინეს, მოკვლით დაემუქრნენ.

ერთ დროს ცნობილი მაუზერისტი თეოფილე (თოქისტა) ბოლქვაძე წერდა: „ვებრძოდით ყველა გზით... სამღვდელოებას. სამღვდელოება რომ ავკრძალეთ, ხუცესმა რომანოზ მეგრელიძემ მაინც არ დაიშალა თავისი და ამისთვის წვერები და თმა ჩამოვაცალეთ მე, გიორგი გაგუამ, ნიკოლოზ მჟავანაძემ და გიორგი ხომერიკმა.“ ისირცხვილა ეს ყველაფერი რომანოზმა და მას შემდეგ ხალხს ერიდებოდა, ცხოვრობდა პატარა ოდა-სახლში მარტო, იქვე აღმოაჩინა წყარო და გამართა წისქვილი, ხელი მიჰყო მეურნეობას. ხალხი მაინც დაიარებოდა მასთან, იმიზეზებდა: „რომანოზთან საფქვავი მაქ მისატანიო“ და ტკბებოდა მღვდლის გულღია საუბრით.

ხალხი დღესაც სიხარულით ეახის რომანოზის მიერ გამოყვანილ წყალს „ხუცისწყალს“ . ბავშვებიც ხშირად ვიკლავთ წყურვილს იქ, გვსიამოვნებს საოცრად ლამაზი ბუნების ფონზე ასევე კოხტა და მორაკრაკე წყაროს ხმა და განსაკუთრებით იმის გაფიქრება,რომ „ხუცისწყალი“ უკავშირდება საყვარელი მოძღვრის-რომანოზ მეგრელიძის სახელს.

მამა გერასიმე ნაკაიძის შესახებ მცირე რამაა ცნობილი. თვით ოჯახის წევრებიც კი მას ფოტოებითა და მწირი ინფორმაციით იცნობდნენ.

მამა გერასიმემ წარმატებით დაამთავრა ჯერ ოზურგეთის სასულიერო სასწავლებელი, შემდეგ ქუთაისის სასულიერო სემინარია. იყო ილია ჭავჭავაძის მიერ დაარსებული ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების აქტიური წევრი და საღმრთოს (ზემო ნატანების) ეკლესიის მოძღვარი.

1898 წელს მამა გერასიმემ, მამა ანტონის თანადგომით, დააარსა საღმრთოს ორკლასიანი სკოლა, რომლის პირველი გამგე და მასწავლებელიც თავად იყო. იგი ხალხს ჭირსა და ლხინში გვერდით ეგდა. მაშინ, როცა გურიის სოფლებში მალარია მძინვარებდა, მამა გერასიმე თავისი ცხენით შემოივლიდა ხალხს და სათანადო მკურნალობას უწევდა ყოველგვარი საფასურის გარეშე.

ღირსი მამა, საღმრთოს ეკლესიის მოძღარი და ორკლასიანი სასწავლებლის გამგე-მასწავლებელი იყო 1921 წლამდე. ბოლშევიკების რეჟიმის გამარჯვების შემდეგ, როდესაც მათ დაანგრიეს საღმრთოს ეკლესიის შენობა, ნანგრევები ნატანების კოლმეურნეობის ასაშენებლად გამოიყენეს. ფაქიზად მოვლილი ძვირფასი საეკლესიო ნივთები, ხატები და ჯვრები გაანადგურეს და დაიტაცეს, წიგნები კი საჯაროდ დაწვეს. არც ეკლესიის ზარი დაინდეს, ჯერ სკოლის შენობაში ჩამოკიდეს, შემდეგ კი ხევში გადააგდეს, რადგან ზარის წკრიალა ხმა ელექტროზარმა შეცვალა. ასე რომ, ის წმინდა ზარი - რელიკვია „უგულო ადამიანებმა“ უფუნქციო გახადეს.

როგორც ვხედავთ, თებერვლის სუსხი ერთ დროს რელიგიურად დაწინაურებულ მიქელ-გაბრიელსაც მწვავედ მოხვდა.

ამის შემდეგ მამა გერასიმეს აქ აღარ დაედგომებოდა და აჭარაში გადავიდა, თუმცა ამ კუთხემაც ვერ შეიფარა დევნილი მოძღვარი. იგი ჯერ რუსეთში, შემდეგ კი შუა აზიაში გადაასახლეს. როგორც გავიგეთ, ძლიერ ფიზიკურ შეურაცხყოფას ვერ გაუძლო და მოწამეობრივად აღესრულა.

წლების მანძილზე ნაკაიძეების ოჯახი განიცდიდა დევნას, „ხალხის მტრის“ შთამომავლებს ალმაცერად უყურებდნენ კომუნისტები. სტალინის სიკვდილის, ანუ, როგორც ამბობენ, „პიროვნების კულტის'' დამხობის შემდეგ, ბევრ სხვა რეპრესირებულ ოჯახს შორის ნაკაიძეებსაც „მიუტევეს“, „აპატიეს“ წარსულის შეცოდებანი.

ას წელზე მეტი ხნის ს.ზემო ნატანების საჯარო სკოლას (ყოფილ საღმრთოს ორკლასიან სასწავლებლის ბაზაზე შექმნილს) 1898 წელს მიენიჭა ღირსი საეკლესიო პირის, მამა გერასიმე ნაკაიძის სახელი.

გერასიმე ნაკაიძე

მარცხნიდან მეორე მღვდელი ივანე კეჭაღმაძე და მარკვნიდან მეორე მისი მეუღლე რაისა რურუა

მიქელ-გაბრიელში მოღვაწე მოძღვართაგან ასევე გამორჩეული პირები იყვნენ ივანე და ქრისტეფორე კეჭაღმაძეები, რვა და-ძმიდან მხოლოდ ისინი დაადგნენ საეკლესიო ცხოვრების საპტიო და წინააღმდეგობებით აღსავსე გზას.

ოჯახის თავკაცი, მღვდელი ანთიმოზ კეჭაღმაძე თავის ღვთისნიერ მეუღლესთან-ფედოსისთან ერთად, ფხიზლად ადევნებდა თვალს შვილების აღზრდას. მამა და შვილები ქრისტეფორე (დაბადებული 1881 წელს) და ივანე (დაბადებული 1883 წელს) მოღვაწეობდნენ ზედობნის (ახლანდელი შრომის) ეკლესიაში.

1921 წელს მიქელ-გაბრიელელმა კომკავშირლებმა ქრისტეფორე გაპარსეს და, ისევე როგორც რომანოზ მეგრელიძეს, მასაც ძალით დაათმობინეს მღვდელმსახურება. ჰყავდა მეუღლე ანასტასია მაჩიტიძე, რომელიც იყო ვაკის დაწყებითი სკოლის პირველი მასწავლებელი, ღირსეული მეუღლის თანამდგომი. მათ ჰყავდათ ორი ქალიშვილი.

უფროსი ვერიკო ახალ დაარსებული უნივერსიტეტში სწავლობდა, სრულიად ახალგაზრდამ მოიწამლა თავი (თვითმკვლელობის მიზეზი ნათესავებისთვის გაურკვეველია).

ეკლესიის დანგრევის შემდეგ ქრისტეფორე გადასულა საცხოვრებლად ს.სუფსაში (ახლანდელი ლანჩხუთის რაიონი), მუშაობდა აგურის ქარხანაში ბუღალტრად.

ივანემაც განიცადა დევნა და შევიწროება „ვაი ბოლშევიკების“ მხრიდან. ეკლესიის დანგრევის შემდეგ მასაც აუკრძალეს მღვდელმსახურება. ძნელბედობისა და დევნის წლებში მას გვერდით ედგა ცხოვრების გაუყრელი თანამგზავრი რაისა რურუა (ფოთელი თავადის ქალი). ფოთის ეპარქიაში მოღვაწეობისას ივანემ მიიღო ბლაღოჩინის წოდება.

1943 წელს ივანე კეჭაღმაძე ფილტვების ანთებით გარდაიცვალა. ანდერძის მიხედვით, დაკრძალეს მშობლიური ზედობნის ნაეკლესიარის სასაფლაოზე, იქ, სადაც კეჭაღმაძეთა საგვარეულო ძვალთშესალაგია.

ჩვენ მოვალე ვართ, ვიცნობდეთ ჩვენს სახელოვან წინაპრებს, პატივი ვცეთ მათ თავდადებას დედა-ეკლესიისა და მართლმორწმუნე ქართველი ერის წინაშე. იყო დრო, როცა თებარვალს „საქართველოს გაზაფხულს“ ეძახდნენ, არადა, 25 თებერვლის შემდეგ ეკლესიის არსებობასაც განსაკუთრებული საფრთხე შეექმნა. რომანოზ მეგრელიძემ, გერასიმე ნაკაიძემ, ქრისტეფორე და ივანე კეჭაღმაძეებმა თავდაუზოგავად, სისხლისა და ცრემლის ფასად იბრძოლეს ქრისტიანობისა და ადამიანური ღირსების დასაცავად. ისინი ჩვენთვის საამაყო, რწმენისა და ეკლესიისათვის თავდადებული გმირები არიან, მართლაც, „ნეტარ არიან დევნილნი სიმართლისათვის“.

აპითერაპია

მეფუტკრეობის პროდუქტებიდან დამზადებული პრეპარატები ჩვენი მოსახლეობის ჯანმრთელობის სამსახურში

ხალხურ მედიცინაში თაფლის, დინდგილის, ცვილის, ყვავილის მტვრის, ფუტკრის რძის, ფუტკრის შხამის სამკურნალო მიზნით გამოყენებას მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში დიდი ხნის ისტორია აქვს, მას ჩვენს წელთაღრიცხვამდე მისდევდნენ. სამწუხაროდ, ჩვენს ქვეყანაში ყოველივე ამას კომუნისტური რეჟიმის ფარმაცეტიული ბაზარი მალავდა.

მეფუტკრეობის პრდუქტებიდან დამზადებული პრეპარატები არეგულირებს არტერიულ წნევას, ხსნის სტრესს, აწესრიგებს ძილს, იმუნურ სისტემას, ხელს უშლის კიბოს უჯრედების განვითარებას, არეგულირებს ქოლესტერინის დონეს სისხლში, არეგულირებს კუჭ-ნაწლავის, ღვიძლისა და თირკმლების მოქმედებას, ამაღლებს ტონუსს, გვარდება ნევროზის პრობლემა, გამოაქვს ორგანიზმიდან ცილები, მარილები., ქიმიური პრეპარატის გამოყენების შედეგად ორგანიზმში დალექილი ნარჩენი ნივთიერებები.

თაფლს აქვს ძლიერი ანტიტოქსიდანური მოქმედება. ამიტომაა, რომ ათეული და ასეული წლის მანძილზე იგი არ ფუჭდება.

ფუტკრის აღნიშნულ პროდუქტებს ადამიანის ორგანიზმი მთლიანად ითვისებს, როგორც ჰემოგლობინი, ანარჩენი არ აქვს. დადგენილია, რომ თაფლი კონცენტრირებული მაღალკალორიული პროდუქტია, რომელიც შედგენილობით უახლოვდება სისხლის პლაზმას.

თაფლი უნდა იყოს ნატურალური, მაღალი ხარისხის. იგი ხელს უწყობს ზრდის ფაქტორებს, აზროვნების გაძლიერებას, მეხსიერების გაუმჯობესებას. ამიტომ იგი აუცილებელია ბავშვებისათვის, მოზარდებისა და ხანდაზმულთათვის. თაფლი აძლიერებს ორგანიზმის დამცველ ძალებს. ძველი ბერძნები მეომრებს აძლევდნენ თაფლის ულუფას, რაც მათ ძლიერსა და გაბედულს ხდიდა. ეს იყო „დოპინგი“, რომელიც ორგანიზმს ზიანს არ აყენებდა.

დღეისათვის ფარმაცევტიული წარმოება დიდი რაოდენობით ამზადებს ნარკოტიკულ ბაქტეროოსტატიულ სადეზინფექციო და სხვა საშუალებებს, მაგრამ ხშირად მათი გამოყენება მიზანს ვერ აღწევს, უარყოფით გავლენას ახდენს ადამიანის ორგანიზმზე. ფუტკრის ნატურალური პროდუქტების გამოყენებით კი მიიღება საუკეთესო შედეგი, გვერდითი მოვლენების გარეშე. ამიტომაც ისინი შეიძლება შეუზღუდავად გამოვიყენოთ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოწინავე მეფუტკრეობასა და მედიცინას შორის მჭიდრო კავშირი არსებობს. ამიტომ წარმოიშვა ახალი დარგი სამედიცინო მეფუტკრეობა და ორივე დარგის საქმიანობა ემსახურება ხალხის ჯანმრთელობის დაცვის საქმეს.

საზოგადოების მოთხოვნილება ფუტკრის პროდუქტებით სამკურნალო მიზნით გამოყენებაზე ყოველდღიურად იზრდება.

შემდეგ ნომრებში შემოგთავაზებთ აპითერაპიულ რეცეპტებს, რომლებიც უსათუოდ გამოგადგებათ როგორც თქვენი, ისე თქვენი ოჯახის წევრების ჯანმრთელობისათვის.

ჯანვერდი ცეცხლაძე,
გურიის მეფუტკრეთა კავშირის თავმჯდომარე

ამორძალი

დიაგნოზი ჟღერდა, როგორც განაჩენი

— ნუ გეშინია, დედა, თბილისში წავიდეთ. ბავშვებსაც წამოვიყვან და ყველაფერს გაგიკეთებ, რაც საჭირო იქნება. — ამომ დედამთილს მხრებზე ხელი მოხვია. მეტი ვერ შებედა. ორივეს ერთნაირად თავშეკავებული ხასიათი ჰქონდა — დედამთილი არასდროს ანუგეშებდა, მაგრამ ყოველთვის გვერდით ედგა.

დედა მიენდო ამოს.

ბავშვები თავისით დადიოდნენ სკოლაში, ამო და დედა — ექიმებთან. ყველა დიაგნოზი განაჩენი იყო.

— ცალკე დამელაპარაკე, შვილი ხარ? - ჰკითხა ქირურგმა;

— არა, რძალი,— უთხრა ამომ. მერე რაღაც უცნაურად ჩაეცინა: „ამო რძალი“.

გონება იქეთკენ მიმართა, როგორმე ეშველა ყველაფერი იმისათვის, რისი შველაც შეიძლებოდა.

ოპერაციის წინ დედამ იმქვეყნად წამსვლელივით ხელი დაუქნია.

— ნუ გეშინია, დედა. ნარკოზიდან რომ გამოხვალ, მე დამინახავ.

დედა ისევ მიენდო ამოს. დამშვიდდა.

ოპერაციის დასრულების მოლოდინში ამომ სკრინინგის ოთახს მიაკითხა. ბევრი არ უფიქრია, შევიდა და ექიმს თხოვა: თუ შეგიძლიათ, კვლევის შედეგები დღესვე მითხარით, ხვალ შეიძლება ვერც მოვიდე პასუხისთვის.

პასუხი: შეცვლილი უჯრედები, კარტინომა. ამომ ეს ყველაფერი უკვე კარგად იცის — ავთვისებიანი სიმსივნე.

დედამ თვალი გაახილა და მომღიმარი ამო დაინახა. ქირურგს უკვირს ამოს არაადეკვატური განწყობა და შემართება.

— თქვენ რა იცით თქვენი დაავადების შესახებ?

— მე ყველაფერი ვიცი. მე ვიცოცხლებ.

ოპერაციის მერე თვალი რომ გაახილა, ხმა ჩაესმა:

— როგორ გრძნობთ თავს?

— ამორძალივით,— არც დაფიქრებულა, ისე უპასუხა.

ფიქრისთვის არასდროს ეცალა. მხოლოდ ეს ორი დღე შეიძლება ფიქრი, როცა საავადმყოფოშია. მერე ბავშვები და დედაა მისახედი. ახლა უკან უნდა დაბრუნდნენ დედა, რაც შეიძლება ნაკლები წვალებით უნდა ჩაბაროს უფალს. მერე გზა ბავშვებთან ერთად მარტომ გაიაროს, ამყად, თავაწეულმა, ძლიერმა, შეუვალმა — ღირსებით.

რამდენი ქალია ამოსავით ამორძალი — მკერდმოკვეთილი, ცხოვრებასთან მეომარი ქალი. ეს ხომ მითი არ ყოფილა. ესენი სამყაროს ქალები არიან, რომლებიც მუდამ იყვნენ და იქნებიან. ყვნენ ძლიერნი — მათი ნება სულაც არ არის. ცხოვრება სთავაზობს ამ არჩევანს და ისინიც ირჩევენ.

მეა გური.

სკანვორდი



ნებიერი
ისტორიული მხარე საბერძნეთში
ქალის თავსაბურავი
კოლხეთის მეფე
კომში
მხვიარა მცენარე
ეჭვი
სამკურნალო მცენარე
მღრღნელი
მავთული
დაკეტილის ანტიპოდი
მამის სახლიდან მოყოლილი ქალის ქონება
მამაკაცის სახელი
მაგნიტი
ქალ-ვაჟის ერთად წოლის ჩვეულება
წყნარი გუგუნა ფრინველი
ბუჩქნარი
გარეული ფრინველი
ქალის სახელი
თევზის სახეობა
ნაცია
დეკორატიული დიდყვავილოვანი მცენარე
მეფის თანმხლები პირები
„პლიტკა“ შოკოლადის სახეობა
მდინარე საქართველოში
თბილისის ზღვის მკვებავი
შუა ყანა
რძიანი კერძი
ერთი დღის გზა
წუხილი
ტურგენევის ნაწარმოები
მესამე პირის ნაცვალსახელი
ჩანთოსანი ცხოველი
ნაკადული
ერთგვარი სასუქი
შანდალი
კეთილშობილი მცენარე
პატარა საწნახელი

№ 10-ში გამოქვეყნებული სკანვორდის პასუხები:

სურათზე — რუდერო ლეონკავალი; სხივი ჭეჭრუტანაში — ათინათი“; მონა ქალი — მხევალი; ყველის საზომი — კენჭი; გიორგი შემოკლებით — გიო; კედლის სანათი — ბრა; ძვირფასმრეწიანი მცენარე — ურთხმელი; გრამატიკული კავშირი — და; ბანკირი _ კეჭაყმაძე — ილა; შინაური ცხოველი — თხა; _ ფანასკერტელი — ზაზა; ცეცერი სხეულის მოძრაობის გზა — ორბიტა; პირველი ორნიშნა რიცხვი — ათი; კიდობნის ამგები — ნოე; ადამიანის მსგავსი მაიმუნი — გორილა; მონასტრის წინამძღოლი საქართველოში — აბა; ზეიბარი — საპყარი; ტოლი რომ არ ჰყავს — ბადალი; დაო (გურულად) — დია; დროის საზომი — საათი; გაბმული ხიდი — ბონდი; სამხრეთ ამერიკული ცეკვა — რუმბა; ფართლეულით მოვაჭრე — ბაზაზი; კათოლიკური ეკლესიის წარმომადგენელი — აბატი; თეფში — საინი; მოჭადრაკე ქალი _ კრამლინგი — პია; სოციის ქალღმერთ (ბერძ. მით.) — მანია; სოფელი ზუგდიდში — ორული; ქალის სახელი — ნაილი; ძროხის კუჭი — ფაშვი; მწერალი არტურ კონან _ — დოილი; გარეული ვირი — კანჯარი; მთის ჩხირი — წკირი; კათოლიკე ბერების კაპუშონიანი მოსასხამი — დომინო; ოფიციალური პირების შეხვედრა — აუდიენცია; ისტორიული ოლქი საბერძნეთში — მაკედონია; ნაცია — ერი; ერთ-ერთი თითი — ცერი; ქართული ტელეკომპანია —იმედი; შინაური ფრინველი — იხვი შიკრიკი — ოფრინდა.

ქალაქი ოზურგეთი

გაგრძელება, დასაწყისი იხილეთ გაზეთი „ალიონი“ №1-8

რუბრიკას უძღვება მანანა მემარნიშვილი
ოზურგეთის ისტორიული მუზეუმის სამუზეუმო საქმის სპეციალისტი



დონ ქრისტიფორე დე კასტელის ცნობით, ლევან დადიანის მეუღლე იყო სეტემან შარაშიას ასული დარეჯანი, ხოლო დონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანეზის ცნობით., ლევან დადიანის პირველი მეუღლე იყო ‘‘აფხაზთა მთავრის შარაშიას ქალი დარუნდია.‘‘

პირმშვენიერი, სათნო და გულუხვი ყოფილა სეტემან შარაშიას ასული. ლამბერტი გადმოგვცემს: ეს ქალი იყო ბუნებით ლამაზი და სავსე ყოვლად სათნოებითა, რომელიც შეფერებოდა მის გვარის ქალს: ქარგვაში, წერა-კითხვაში, გულუხვობასა და ზრდილობაში მას ტოლი არ ჰყავდა. თავისი სათნოებით მან მიიზიდა ყველა თავისი ქვეშერდომის გული. მალე ამ ქალისაგან ეყოლა მთავარს ორი ვაჟი, რომელთაც სიყრმიდანვე ეტყობოდა, რომ იქნებოდნენ ნამდვილი მემკვიდრე დედის სათნოებისა და მამის ახოვნებისა‘‘.

იმერეთის სამეფოდან ლტოლვილი-პაატა წულუკია იმყოფებოდა იმნანად ლევან დადიანის სასახლის კარზე, რომლის შესახებაც ვახუშტი გვაუწყებს. ,,ხოლო მეფემან გიორგიმ შერისხა ზედა წულუკიძე პაატას და მიუხუნა მამულნი, და პაატა წარვიდა ლევან დადიანისა თანა,... ამან პაატამ (რომელსა უხმობდნენ წუწკად უძლურებისათვის, რამეთუ იყო კუტი) უმეტესად შთაუდვა ლევანს მტერობა გიორგი მეფისა და მარადის განუზრახვიდა.‘‘

წულუკიძე წუწკის ხელობა კაცთ შორის შურისა და ბოროტის თესვა ყოფილა. ‘‘კუალად განზრახვითა პაატა წუწკისათა,რამეთუ სძულობდა ცოლი დადიანისა პაატას, და მტერობდა წუწკი მას. ამის გამო შეუთქვა ლევან დადიანმან ცოლსა თვისსა სიძუა.‘‘

დონ ქრისტიფორე დე კასტელი წერს: ‘‘ადამიანის ბუნების მტერია ეჭვი, რომელიც ყოველგვარ ბოროტებასა და კვლასაც იწვევს. მთავარმა დადიანმაც ეჭვი მიიტანა თავის მეუღლეზე, რომელსაც თითქოს ვერ დაეცვას ცოლ-ქმრული ერთგულება და სამთავროს უმშვენიერეს ვეზირთან კოლხელ თავადთან ემრუშოს...

განრისხებულსა და დამწუხრებულ დადიანს არ შეეძლო ამ მეტად უგვანო და უპატიოსნო ამბავზე ვინმესთან დამშვიდებულად ელაპარაკნა. ერთ დღეს ამ დესპოტმა, ბარბაროსმა (თითქოს ლომს გაუყარეს გულისწყრომ?ს ისარიო) სასტიკად იძია შური. მან სიკვდილით დასჯაზე ბევრად უარესი, ენით უთქმელი და საშინელი წამება მიაყენა თავის მეუღლეს.

თავდაპირველად მას სურდა ხმლით აეკუწა, მუცელი გამოეფატრა თავისი..ცოლისათვის: მაგრამ შემდეგ სხვანაირად მოიქცა: ქალს ცხვირი,ენა და ყურები მოაჭრა და დამახინჯებული გაუგზავნა თავის მამას, რის გამოც მწუხარებით აავსო აფხაზეთის მთავარი‘‘.

არქანჯელო ლამბერტის ცნობით: დარეჯან დედოფალზე ,,მთავარი საშინლად გაბრაზა, მაშინვე გაგდო ცოლი და ბერძნების სჯულისამებრ, შესარცხვენად ცხვირი მოსჭრა; მერე შეკრიბა ჯარი და ქალი წაიყვანა მის მამასთან. მამამის შეეშინდა ამ უეცარი თავდასხმისა და მთელი თავისი ერით მთებში გაიქცა. დადიანმა მოარბია ქვეყანამ ცეცხლითა და მახვილით გაანადგურა ყოველივე,და უკან დაბრუნდა თავის სამთავროში, ცოლი კი იქ დატოვა მარტოკა‘‘.

დონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანეზეს ცნობით: ლევან დადიანმან დარეჯან დედოფალს ‘‘ცხვირი, ყურები და ენის წვერი მოაჭრა, და თავის სამშობლოში გაგდო‘‘.

დარეჯან შარაშიასთან თუ შერვაშიასთან მრუშობა,რომელიც ლევან დადიანის მიერ შეთხზულად უნდა ჩითვალოს, (რადგან ლევანი ღვიძლი ბიძის, - გიორგი დადიანის ძის - გიორგი ლიპარტიანის ახალგაზრდა ცოლს ნესტან - დარეჯან ჭილაძეს ეტრფობა ფარულად), ლევან დადიანის სასახლის კარზე მყოფ, იმნანად ვეზირის რანგში ახარისხებულ პაატა წულუკიას დაედო ბრალად. (ი. ანთელავას ვერსიით დადიანის პირველი ვეზირი მაშინ მერაბ ქორთოძე უნდა ყოფილიყო).

ლევან დადიანის ბრძანებით ბორკილები გაუყარეს პაატა წულუკიძეს და ოზურგეთის ციხე-ქალაქში გაგზავნეს სიმონ გურიელთან ,,სიმედოდ შესანახად‘‘. კასტელი გვაუწყებს: ,,ლევან დადიანმან, მოკლე დროში შეიპყრო მრუში ვეზირი, მაგრამ კი არ მოკლა, არც აწამა, არამედ ხელფეხშეკრული გაუგზავნა სიმონ გურიელს, რომელსაც იგი ციხეში სამუდამო პატიმრობაში უნდა ჰყოლოდა. დადიანი თავის მეგობარს წერილში მედიდურად ატყობინებდა: მიეღო ტყვე და საიმედო ადგილას მოეთავსებინა. გაუბედურებული პაატა წულუკია გურიელს მიჰგვარეს.‘‘

უცნაური ხვედრი რგები ,,იმ ქიშპობის ჟამს‘‘ ოზურგეთის ციხეს. გარდა იმისა, რომ ეს ციხე ნიშანი იყო მთავრის ხელისუფლების პოლიტიკური ძალაუფლების გამოხატულებისა, ამ ციხეს დადიანთა სახლის - ოდიშის მთავართა მტრების პატიმართ პყრობის ფუნქციაც ჰქონია დაკისრებული. ასე იყო გიორგი დადიანის დროს, როცა მთავრის წინააღმდეგ ამხედრებული ღვიძლი ბიძა-ბათულია დადიანი ,,შთაგდეს‘‘ მის დილეგში და შემდგომ საგანგებოდ მოხმობილ ჯალათებს მოაშთობინეს. ასე მოხდა შემდგომშიაც, ლევან II დადიანის მთავრობის ჟამს. ახლა მთავრის მოქიშპე პაატა წულუკიასაც უნდა ,,მოესინჯა‘‘ მისი კაზამეტები.

ლევან II დადიანმა. საკუთარი ბიძისა და გამზრდელის-გიორგი ლიპარტიანის თანამეცხედრე ნესტან-დარეჯანზე მიიტანა ,,სიძვის იერიში‘‘. ლევან დადიანის სივას სიძვითვე უპასუხა ბიცოლამ-რევანოზა ჭილაძისა და უტანდარა ჩხეიძის ასულმა,რომელიც ანა დადიანის ასულისა და ამილახვარის ასულ თაჯის მესამე ცოლი იყო გიორგი ლიპარტიანისა.

ლამბერტის ცნობა:

,,მთავრის ბიძას-ლიპარტიანის ყავდა ცოლად ყმაწვილი ქალი, თუმცა თვითონ მოხუცებული იყო. ეს ქალი სახელად დარეჯანი, იყო ჭილაძის გვარისა. ჭილაძეები იყვნენ პირველი თავადები ოდიშისა. ქალი ძლიერ ლამაზი იყო და ხნით უფრო შეეფერებოდა ყმაწვილ მთავარს, ვიდრე მოხუცებულ ლიპარტიანს. მართლაც ეგი უფრო თამამად იყო დადიანთან და საიდუმლოებასაც იმას უზიარებდა, ვიდრე თავის ქმარს. ხშირად ერთად იყვნენ და სიყვარულობდნენ ერთმანეთს, ბოლოს ცხადად გამოჩნდა, რომ მოკლე ხანსაც არ შეეძლოთ გაძლება უერთმანეთოდ. მოხუცებულ ბიძას არავითარი ეჭვი არ ჰქონდა, რადგან, ერთის მხრით,მთავარი ცოლიანი იყო და მეორის მხრით მათ შორის ახლობელი ნათესაობა იყო მხოლოდ. საიდუმლო ალი სულ უფრო და უფრო ძლიერდებოდა, და ბოლოს იმისთანა ცეცხლად გარდაიქცა, რომ მთელმა კოლხიდამ შეამჩნია.

..დადიანი რომ უცოლო დარჩა, ბიცოლასადმი სიყვარული უფრო გაუძლიერდა და ცეცხლმა ერთბაშად იფეთქა; მთავარმა დაარღვია ყოველივე კანონი, როგორც ბუნებისა, ისე ღვთისა, და გადაწყვიტა ძალით შეერთო ცოლად თავისი ბიცოლა. როცა მისი მოხუცი ბიძა სრულად დამშვიდებული იყო და არ მოელოდა ასეთ ამბავს, მთავარი მრავლის თავადებით მივიდა მის სახლში და წამოიყვანა იქედან დარეჯან ყველა მისი ქალებით და მოიყვანა სასახლეში, სადაც დიდის ამბით დაიწერა ჯვარი და გახდა იგი დედოფლად‘‘

დე კასტელი:

,,დადიანმა თავისი პირველი ცოლი რომ გაგდო,ამასობაში ქორწინებაზე დაიყოლია თავისივე ბიძის, ლიპარტიანად წოდებულის ცოლი და ის მოიყვანა. მეგობრებმა და სისხლით ნათესავება ცოლის შერთვა სიხარულით მოულოცეს დადიანს, რომელიც დიდი ხნით იტანჯებოდა ამ ქალის სიყვარულით‘‘.

ლევან დადიანი დარეჯან დედოფალთან შეუღლების ქორწილს იხდიდა. ბიცოლას მეუღლედ გახდომას ზეიმობდა. ხოლო ძმისწულის მიერ ცოლწაგვრილი და ძალად დაქერივებული გიორგი ლიპარტიანი ყოფილ მეუღლეს გარდაცვლილად აცხადებდა და მის შესაფერის ქელეხს უხდიდა.

დავიმოწმოთ ლამბერტი:

,,ლიპარტიანმა რომ ანა ძმისწულმა ასე შეურაცყო, ტირილის გადახდას შეუდგა იმ დროს, როდესაც სასახლეში დიდის ამბით სისხლის შემრევ მეუღლეთა ქორწილს იხდიდნენ. თითქოს ცოლი მართლა მოკვდომოდეს, მან ჩაიცვა და ყველა თავის მახლობელს ჩააცვა სამგლოვიარო ტანისამოსი და იქაურ ჩვეულებისამებრ ორმოცი დღის განმავლობაში ტირილი გააგრძელა დიდის ამბით. შემდეგ ტირილისა და ნადიმისა, მთელი ქვეყანა დასებად განიყო: უფრო მჩატენი თანაუგრძნობდნენ მთავრის აღვირახსნილობას და მიემხრნენ, უფრო გონიერნი და ძლიერნი კი თანაუგრძნობდნენ მოხუცებულს და მისკენ იყვნენ.

,,როგორც ერთის მხრივ, ისე მეორეს მხრივ ამზადებდნენ იარაღს, რათა ამით დაებოლავებინათ სამწუხარო დავა. მაგრამ მოხუცის უეცარმა სიკვდილმა, რომლის მიზეზი არ ვიცი, მწუხარება იყო თუ სხვისი იდუმალი ხელი, დააცხრო ეს არეულობა და დარეჯან დარჩა მთავრის ცოლად და დედოფლად.‘‘

მალე ლევან დადიანის სისასტიკე დაჩრდილა ოდიშის ახალმა დედოფალმა ნესტან-დარეჯან ჭილაძე დადიანისამ, ჯუდიჩე გადმოგვცემს: ,,როდესაც ნახა, რომ დადიანის პირველი ცოლისაგან ორი ვაჟი დარჩენოდა, მათ საწამლავი დაალევინა და ორ დღეში ორივე წუთისოფელს გამოასალმა. ეს იმისთვის ჩაიდინა, რომ თავის შვილებს მემკვიდრეობა დარჩენოდათ.‘‘

კოლხიდა შეძრა ამ გაუგონარმა ამბავმა.

,,ხმა გავრცელდა, რომ ამდენის მკვლელობის შემდეგ დადიანის გული იმდენად გაბოროტდა, რომ თავის შვილები,რომლებიც პირველი ცოლისაგან ჰყავდა, მოწამლაო-ფიქრობდნენ, რომ დადიანმა ასეთი სისასტიკე ახალი ცოლის შთაგონებით ჩაიდინაო. ამ ქალს, რასაკვირველია უნდოდა, რომ დადიანის მემკვიდრეობა მიეღო მის საკუთარ შვილებს და არა აფხაზი ქალისას. ამბობენ მეორე ცოლი თურმე დადიანს ხშირად მოაგონებდა, დარწმუნებული არ უნდა იყო იმაში, პირველი ორგული ცოლის ნაშობი ვაჟები შენი კანონიერი შვილები არიანო. ერთის თვის განმავლობაში პირველი ცოლისაგან შენაძენი ორივე შვილი მოკვდა. თუმცა მათ საფლავებზე ბევრი ცრემლი დაიღვარა, მაგრამ იქ მამის ცრემლი არ დაღვრილა; მათ არც თავის წინაპრებთან ერთად სამეფო აკლდამაში დაკრძალვა ღირსებიათ.2

ენვერ გოგუაძე

სულთათანა

გუგული ჩხაიძე

ოზურგეთის საზოგადოებას, ჩვენს რაიონს გამოაკლდა განათლების დარგის თვალსაჩინო წარმომადგენელი, ღვაწლმოსილი პედაგოგი, ქალბატონი გუგული ჩხაიძე.

ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის წარმატებით დამთავრების შემდეგ, მთელი 50 წლის მანძილზე მუხლჩაუხრელად ემსახურებოდა ბაილეთის საჯარო სკოლაში მომავალი თაობის კეთილსინდისიერად აღზრდის საქმეს.

მიუხედავად ამისა, რომ მას არ აკლდა განათლება, კულტურა, საზოგადოების მაღალი ავტორიტეტი, თუნდაც შესახედაობა. საკუთარი ოჯახი არ შეუქმნია და მთელი მისი შეგნებული სიცოცხლე მომავალი თაობის ჯანსაღი სულისკვეთებით აღზრდას შეალია. სწორედ ასეთ ადამიანებზე აქვს ნათქვამი ცნობილ პოეტს იოსებ ნონეშვილს:

„მასწავლებელი ზოგჯერ უშვილო, მაგრამ ათასი ბავშვის მშობელი.“

დიდი და ნაყოფიერი საქმიანობისათვის მას მინიჭებული ჰქონდა სახალხო განათლების წარჩინებულის წოდება. დაჯილდოებული იყო სხვადასხვა ჯილდოებით.

წავიდა ჩვენგან ქვეყნისა და ხალხის წინაშე ვალმოხდილი მამულიშვილი, დაგვიტოვა უდიდესი სიყვარული, დიდი გულისტკივილი.

მისი სახელი მარად დარჩება სოფელ ბაილეთის მშრომელების, ახლობლების, კოლეგების, მრავალრიცხოვანი აღზრდილებისა და იმათ შორის, ვინც მას იცნობდა. იგი ყოველთვის ღირსეულ ადგილს დაიჭერს ჩვენი სახელოვანი ქართველი ქალბატონების ბრწყინვალე თანავარსკლავედში.

ახლობლები, მეგობრები, კოლეგები.

განცხადება

იყიდება, ან ქირავდება
საცხოვრებელი ბინა, ქ. ოზურგეთში, გრიბოედოვის ქ. №21-ში, 1-ლი სართული, ფართი 90 კვ. მ. რომელიც გამოიყენება საცხოვრებლად, კომერციული საჭიროებისათვის ან საოფისედ.
ტელ: 599 58 75 32.

* * *

იყიდება მიწის ნაკვეთი 9400 კვ. მ. ქობულეთის ტრასაზე, ანასეულის გადასახვევიდან 400 მეტრის დაშორებით.
ტელ: 599 58 75 32.

* * *

ურეკში კაპროვანის ტერიტორიაზე, ზღვიდან 250-300 მეტრის დაშორებით იყიდება 300 კვ. მეტრი სააგარაკე მიწის ნაკვეთი.
ტელ. 568 474 488; 568 22 06 90.

* * *

იყიდება სახლი ოზურგეთში, ჭოლა ლომთათიძის №28-ში.
ტელ. 555 53. 27. 06.
რეზო ვაშალომიძე.

დისშვილები შორენა, სუზანა, მარინე კვაჭანტირაძეები; შვილადწოდებული ციცო კილაძე ოჯახებით იუწყებიან **გუგული ჩხაიძის** გარდაცვალებას.

წყაროს წყალივით რაკრაკებს ნიჭი

ირაკლი თოიძის პერსონალურ გამოფენაზე

თემურ მარშანიშვილი

უნივერსალიზმი... – მართალი გითხრათ, არ ვიცი, მხატვრობაში არის თუ არა ასეთი მიმართულება. თუ არის, მასში ირაკლი თოიძის ნამუშევრებს ნათელ, გამორჩეულ ადგილს მივუჩენდი და თუ არ არის, დავამკვიდრებდი და უმალ ირაკლი თოიძის შემოქმედებით დავიწყებდი.

წარმოშობით ოზურგეთელ და ამჟამად დედაქალაქში წარმატებით მოღვაწე ამ ახალგაზრდა მხატვარს და ოზურგეთელ სახვითი ხელოვნების მოყვარულთ, ალბათ, არასოდეს დაავიწყდებათ 2018 წლის 15 მარტი, რადგან ამ დღეს მერაბ ბერძენიშვილის სახელობის ოზურგეთის თანამედროვე სახვითი ხელოვნებიც ცენტრმა – სურათების გალერეამ, სწორედ ირაკლი თოიძის პირველი პერსონალური გამოფენის მოწყობით, ჭეშმარიტ ხელოვნებას გვაზიარა და უსაზღვრო სიამოვნება განგვაცდევინა.

სულ რაღაც ერთი საათი იქნება, რაც გამოფენიდან სახლში დავბრუნდი და მიღებული ემოციებიდან თუ ცოტა არ დავიცალე, თუ რამე არ დავწერე, ალბათ, ცუდად გავხდები. ირაკლი თოიძის ნამუშევრებში ყოველი გრაფიკული ხაზი მძივის ძაფს მაგონებს, რომელზეც, ჩემი აზრით, მარგალიტი თუ არა, მარგალიტის სადარი თვლებია ასხმული. უზუსტესია შტრიხები, ნატიფია ნაკვთები, შეუდარებელია კომპოზიციები, ორიგინალურია ხედვა და, რაც ყველაზე მეტად დამახასიათებელია ირაკლის შემოქმედებისათვის, ქართულია, ეროვნულია თხემით ტერფამდე. ცხადია, კარგი სკოლა აქვს განვლილი, მაგრამ ისიც ნათლად ჩანს, რომ ნატურალურ, თვითნაბად ნიჭთან გვაქვს საქმე.

და, რა კარგია, რომ ეს ყველაფერი გაზაფხულზე მოხდა! საგამოფენო დარბაზში ხალხი – ხალასი ფუტკარი ჯერ კედელზე გამოფენილი საოცრებების ნექტარით დატკბა, შემდეგ კი – ახალშეუღლებული, ჰარმონიული წყვილის, ირაკლისა და მისი მეუღლის ხილვით. სიყვარული ყოველთვის ძლიერია, მაგრამ ასეთ დროს, ასეთ სიტუაციაში აპოგეას აღწევს. გაუმარჯოს ამ სიყვარულს!

რა საამაყოა, რომ ეს ყველაფერი მშობლიურია, ქართულია, გურულია, ოზურგეთულია! რა საოცარია, რომ ამ პატარა სივრცეში, რასაც გალერეა ჰქვია, „ცა ფირუზია და ხმელეთი – ზურმუხტი“, რომ აქ წყაროს წყალივით რაკრაკებს ნიჭი, რომ გვყავს ირაკლი და ირაკლისნაირი მრავალი ბიჭი, რომ მზის გვაშშვენებს ლოგო და რომ მზე არის გურული გოგო...

გალერეის თავკაცმა, მხატვარ-გრაფიკოსმა თანდილა თავართქილაძემ თქვა ერთხელ: ოზურგეთი მხოლოდ ფოლკლორის ქალაქი არ არის, სხვა ტრადიციაც გვაქვს, მხატვართა ქალაქიცაა. ღიმილით დავეთანხმე მაშინ, ირაკლი თოიძის პერსონალური გამოფენის ნახვის შემდეგ კი, კვერს ვუკრავ ამ დიდებულად ნათქვამს.



თამარ პაქსაშვილის გამოფენა ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირის“ ბიბლიოთეკაში

13 მარტს სახვითი ხელოვნების სპეციალისტთა და მოყვარულთა ყურადღება მიიქცია „ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირის“ ორიგინალურ ბიბლიოთეკაში 17 წლის მხატვარი გოგონას თამუნა პაქსაშვილის პერსონალურმა გამოფენამ.

„ძალიან მიხარია, რომ ეს გამოფენა ჩვენთან შედგა. თამარს ჰქონდა ამის სურვილი და ჩვენმა ორგანიზაციამ მხარი დაუჭირა. ჩვენი სურვილია, თამარს ყოველთვის ჰქონდეს ხატვის განწყობა და ვიმედოვნებთ, რომ ეს არ იქნება მისთვის მხოლოდ გატაცება“ – აღნიშნა გამოფენის გახსნისას ხსენებული არასამთავრობო ორგანიზაციის „ლიდერთა სკოლის“ ხელმძღვანელმა ნონა სადრაძემ.

ხელოვნებათმცოდნე ლია ურუშაძის თქმით, 17 წლის მხატვრისათვის ასეთი გაწაფული ხელი და ორიგინალური ხედვა უკვე ბევრისმთქმელია:

„თამარი მხოლოდ 17 წლისაა და უკვე ასეთი გაწაფული, კარგი გრაფიკული ხელი აქვს, რაც თავისთავად ბევრს მეტყველებს. ეს პერსონალური გამოფენა, რა თქმა უნდა, მხატვარს შემოქმედებით სტიმულს მისცემს“.

გურიის მხატვართა შემოქმედებითი კავშირის თავმჯდომარემ, მხატვარმა თამაზ დარჩიამ კი თამარის განუმეორებელ ხელწერას გაუსვა ხაზი:

„თამუნა ჩემთვის აღმოჩენაა, უკვე საკუთარი, განუმეორებელი ხელწერა აქვს, თუ ასე განაგრძობს, დიდი მხატვარი გახდება“.

გასულ თვეში მერაბ ბერძენიშვილის სახელობის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის თანამედროვე სახვითი ხელოვნების ცენტრში მოწყობილ ბავშვთა ნამუშევრების VII გამოფენა-კონკურსში „ზამთრის ვერნისაჟი“ თამარ პაქსაშვილმა ერთ-ერთი ნამუშევრისათვის სწორედ გურიის მხატვართა შემოქმედებითი კავშირის ჯილდო დაიმსახურა.

ოზურგეთელმა ნორჩმა მოჭადრაკეებმა საქართველოს პირველობაზე წარმატებით იასპარეზეს







ქ. ფოთში დამთავრდა საქართველოს დასავლეთ ზონის პირველ ლიგის ჩემპიონატი ასაკობრივ კატეგორიებში, რომელშიც იმერეთის, სამეგრელოს და გურიის რეგიონების 100-ზე მეტი წარმომადგენელი მონაწილეობდა. ჩემპიონატზე სხვადასხვა ასაკის ათი ოზურგეთელი მოჭადრაკე იყო წარგზავნილი, რომლებმაც საგანგებოდ მომზადებულ და ტიტულოვან მოწინააღმდეგებს ტოლი არ დაუდეს და საერთო ჯამში წარმატებით იასპარეზეს. მათი მონაპოვარი სამი საპრიზო ადგილი და საქართველოს უმაღლესი ლიგის ხუთი საგზურია. ყველაზე მაღალი შედეგი 8 წლამდე ასაკში მონაწილე 7 წლის ლიხაურელმა **ანდრია კიკაბიძემ** (მწვრთნელი ელგუჯა ურუშაძე) აჩვენა. მან ერთის გარდა ყველა პარტია მოიგო და ფოთელ დემეტრე კაკულიასთან თანაბარი ქულებით პირველი ადგილი გაიყო. მან ჯერ კიდევ შარშან მიიქცია სპეციალისტების ყურადღება და წელსაც მაღალი შეფასება დაიმსახურა. 10 წლამდე ჭაბუკებს შორის კარგად გააზრებული და შემოქმედებითი თამაში აჩვენა **თენგიზ თოიძემ** (მწვრთნელი ნინო წიტაიშვილი), რომელმაც საკმაოდ ძლიერ შემადგენლობაში შეძლო ვიცე-ჩემპიონის ტიტულის მოპოვება. თენგიზს მხოლოდ ერთი ქულით ჩამორჩა და დაგროვილი ქულებით საქართველოს პირველობის საგზური აიღო **ნიკოლოზ ბარამიძემ** ,რომელმაც ჩემპიონატში იმდენად ხარისხიანი პარტიები გაითამაშა, თვით მწვრთნელიც (ელ. ურუშაძე) არ ელოდა. საინტერესო და დაძაბული გამოდგა 12 წლამდე გოგონათა ჩემპიონატი. აქ საკმაოდ ძლიერ შემადგენლობაში ოზურგეთელი 11 წლის **ანა მეგრალაძის** (მწვრთნელი ელგუჯა ურუშაძე) მიერ მოპოვებული მესამე საპრიზო ადგილი უდავოდ დიდი წარმატებაა, თუმცა ჭადრაკის მოყვარულები მისგან შარშანწინდელი შედეგის გამეორებას ელოდა, როცა მან ამავე რანგის ჩემპიონატში პირველი ადგილი აიღო. თავის შესაძლებლობები სრულად ვერ გამოავლინა, მაგრამ მიღწეული შედეგით 12 წლამდე ასაკში საქართველოს პირველობაზე მონაწილეობის უფლება მიიღო **მარიამ ღლონტმაც** (ეს ის გოგონაა, რომელმაც დიდოსტატ ზურაბ აზმაიფარაშვილს , ოზურგეთში სტუმრობისას, ყაიმი ეთამაშა). აქვე ავღნიშნავთ, რომ ამ ასაკში მეორე ადგილზე გურიის წარმომადგენელი ლანჩხუთელი **მარიამ ჩხაიძე** გავიდა.

აღნიშვნის ღირსია 10 წლამდე გოგონათა შორის მოასპარეზე **თამარ ასათიანი**, რომელიც საპრიზო სამეულში ვერ მოხვდა, მაგრამ ძლიერ და ტიტულოვან მოწინააღმდეგებთან მიღწეული შედეგით შეძლო საქართველოს პირველობის საგზურის მოპოვება.

მართალია ჩვენი მოჭადრაკეებიდან ყველამ ვერ შეძლო წარმატების მიღწევა, მაგრამ მათ აქვთ გამოიყენონ შანსი მუნიციპალურ, ან რეგიონალურ პირველობებზე, სადაც თითოეულ ასაკობრივ კატეგორიაში გამარჯვებულს საქართველოს პირველობაზე მონაწილეობის უფლება აქვს.

7 დღის ამინდის პროგნოზი

19 მარტი, ორშაბათი	20 მარტი, სამშაბათი	21 მარტი, ოთხშაბათი	22 მარტი, ხუთშაბათი	23 მარტი, პარასკევი	24 მარტი, შაბათი	25 მარტი, კვირა
მზე, ღრუბელი +11+22	მზე, ღრუბელი +11+22	მცირე წვიმა +4+12	მზე, ღრუბელი +4+8	ღრუბელი +10+16	ძლიერი წვიმა +5+14	ღრუბელი +1+6